ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

5 მარტი, 1939 წ.
საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო
ფასი 30 კაპ. № 8 (95).

მოსკოვი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი—ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XII ყრილობა თავისი მხურვალე სიყვარულისა და მადლობის გრძნობებით და მგზნებარე მისალმების სიტყვებით მოგმართავთ თქვენ, **ლენინ-სტალინის** პარტიის დიდ ბელადს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძენ მამას, ჩვენს აღმზრდელსა და მასწავლებელს!

ჩვენი პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებაში უდიდესი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის მზადების ისტორიულ დღეებში იწყებს თავის მუშაობას საქართველოს ბოლშევიკების XII ყრილობა.

ჩატარებული რაიონული და საქალაქო პარტიული კონფერენციები, რომლებმაც ერთსულოვნად მოიწონეს ისტორიული წინასაყრილობო დოკუმენტები — თეზისები ამხანაგების **მოლოტოვის** და **ჟდანოვის** მოხსენებებისა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე—გადაიქცნენ მძლავრ დემონსტრაციად საქართველოს ბოლშევიკების ურღვევი დარაზმულობისა საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის, მშობლიური **სტალინის** გარშემო.

თეზისები მოხსენებებისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ და საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში ცვლილებათა შესახებ გამსჭვალულია სტალინური ზრუნვით ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, სტალინური ზრუნვით ადამიანებზე, კადრებზე, ჩვენი უძლეველი ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციულ ძლიერებაზე.

ისტორიული წინასაყრილობო დოკუმენტები ჩვენს გულს ავსებენ უდიდესი სიხარულით, სიამაყით, იმის სურვილით, რომ კიდევ უფრო მეტი ენტუზიაზმით მოვახმაროთ მთელი ძალღონე კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით, ამხანაგო სტალინ, აგებულია სოციალიზმის დიდებული შენობა, რომელიც კაშკაშა შუქურასავით ამართულია მსოფლიოში ყველა ჩაგრულთათვის; საბჭოების ქვეყანა შევიდა უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის ხანაში.

ეს დიადი შედეგია სოციალიზმის გამარჯვებებისა, რომლებიც მიღწეულია საბჭოთა ხალხის მიერ, **ლენინ-სტალინის** პარტიის ხელმძღვანელობით, თქვენი ბრძნული წინამძღოლობით, ხალხის მტრების, ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინელი, ბურჟუაზიულ - ნაციონალისტი დაქირავებული აგენტების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში.

სოციალიზმის დიადი ქვეყნის მთელი მრავალეროვანი ხალხი. უდიდესი აღფრთოვანებით ემზადება რა საკ. კ. პ. (ბ) ისტორიული XVIII ყრილობისათვის, შესანიშნავი საქმეებით, საწარმოო გამარჯვებებით კვლავ და კვლავ გამოხატავს მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი თავისი მხურვალე სიყვარულისა და ნდობის გრძნობებს.

მთელი პარტია, მთელი ხალხი ელიან იმ ისტორიულ დღეს, როდესაც საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ტრიბუნიდან მთელი მსოფლიოს გასაგონად გაისმის **სტალინის** ბრძნული სიტყვები, რომლებიც შეგვაიარაღებენ ჩვენ, შეაიარაღებენ მთელი მსოფლიოს მშრომელთ საბრძოლო პროგრამით შემდგომი ბრძოლისათვის კომუნიზმის ახალ გამარჯვებათა მოსაპოებლად.

გვახსოვს რა თქვენი მითითებანი რევოლუციური სიფხიზლის შესახებ, ჩვენ ულმობლად ამოვფხვრით ხალხის განადგურებული მტრების საზიზღარ ნაბოლარებს, ჩვენ შემდგომაც ფხიზლად ვიდგომებით სოციალიზმის მონაპოვართა სადარაჯოზე, რომლებიც აღბეჭდილია სტალინურ კონსტიტუციაში.

შეიარაღებულნი ისეთი მძლავრი იდეური იარაღით, როგორიც არის პარტიის ისტორიის სტალინური სახელმძღვანელო, ჩვენ მთელი შეურიგებლობით დავიცავთ ჩვენი პარტიის ლენინურ-სტალინურ ტრადიციებს, განვამტკიცებთ პარტიის რიგებს, ჩავაბამთ რა მასში საუკეთესო, შემოწმებულ, **ლენინ-სტალინის** საქმისადმი ერთგულ ადამიანებს მუშების, კოლმეურნეების და ინტელიგენციის რიგებიდან.

ჩვენ, საქართველოს ბოლშევიკები, ვამაყობთ იმით, რომ აღზრდილნი ვართ სახელოვან სტალინურ ტრადიციებზე, ვამაყობთ იმის შეგნებით, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, რომელიც ჩვენი პარტიის ერთერთ უძველეს ბოლშევიკურ ორგანიზაციას წარმოადგენს, გამოზრდილი და გამოწრთობილია დიდი **სტალინის** მიერ.

ეს ავალებს საქართველოს ბოლშევიკებს წმინდად დაიცვან სახელოვანი სტალინური ტრადიციები, დაულალავად განამტკიცონ პარტიული ორგანიზაციების ძლიერება და ბრძოლისუნარიანობა, იყვნენ შეურიგებელნი მტრისადმი, იყვნენ თავდადებული, უშიშარი, შეუდრეკელი მებრძოლნი კომუნიზმისათვის, მაღლა ეჭიროთ სტალინური ბოლშევიკური პარტიულობის დიადი დროშა.

საქართველოს ბოლშევიკებისათვის მთელი მათი სიცოცხლის, ბრძოლისა და მუშაობის უმაღლეს მიზანს წარმოადგენს დიდი **სტალინის** ნებისყოფის შესრულება, ჩვენი მშობლიური **სტალინის**, ჩვენი დიადი პარტიის, მისი ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის ყოველი მითითების შესრულება.

გაუმარჯოს **ლენინ-სტალინის** დიად პარტიას!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადსა და მასწავლებელს, ჩვენს მშობლიურ საყვარელ **სტალინს!**

მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარ სამხედრო საბჭოში

ა. წ. 23 თებერვალს მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარი სამხედრო საბჭოს წევრთა თანადასწრებით სამხედრო ფიცი მიიღო მთავარი სამხედრო საბჭოს წევრმა ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა. (საქტესი).

სია დელეგატებისა

გადამწყვეტი ხმის უფლებით, რომლებიც საქართველოს კ. პ. (ბ) XII ყრილობის მიერ არჩეული არიან საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე გასაგზავნად.

1. ი. ბ. სტალინი,
2. ლ. პ. ბერია,
3. ბ. ნ. არუთინოვი,
4. ვ. მ. ბაქრაძე,
5. მ. ი. ბარამია,
6. კ. ბ. ბეჟვაია,
7. ი. პ. ვაცეკი,
8. ნ. ვ. გაბუნია,
9. ნ. ვ. გელაძე,
10. გ. ა. გოჩაშვილი,
11. ვ. გ. გრიგორიანი,
12. მ. ი. ჯაში,
13. გ. გ. ჯგუბურია,
14. ს. მ. იშხანოვი,
15. მ. მ. კვარაცხელია,
16. ი. დ. კოჭლამაზაშვილი.
17. ვ. ა. ლოლაძე,
18. ფ. ე. მახარაძე,
19. ო. პ. მიშაკოვა,
20. ა. ი. მირცხულავა,
21. მ. ი. მურადაშვილი,
22. გ. ე. ნარსია,
23. შ. დ. ნუცუბიძე,
24. შ. ე. ფურცხვანიძე,
25. ა. ნ. რაფავა,
26. ვ. ვ. სამხარაძე,
27. ნ. პ. სარქისოვი,
28. ი. ი. სვანაძე,
29. გ. თ. სტურუა,
30. ი. ქ. თავაძე,
31. გ. გ. თვალჭრელიძე,
32. ა. ე. თოფურიძე,
33. ი. ვ. ტიულენევი,
34. ვ. გ. ცხოვრებაშვილი,
35. კ. ნ. ჩარკვიანი,
36. გ. დ. ჩაჩიბაია,
37. დ. ა. ჭიჭინაძე,
38. მ. დ. ჩუბინიძე,
39. პ. ა. შარია.

სია დელეგატებისა

სათათბირო ხმის უფლებით, რომლებიც საქართველოს კ. პ. (ბ) XII ყრილობის მიერ არჩეული არიან საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე გასაგზავნად.

1. ა. ვ. ჯორბენაძე,
2. დ. ლ. ყორყოლიანი,
3. ნ. რ. კიკაჩეიშვილი,
4. ზ. ი. კიკნაძე.
5. ა. ი. კოჭლავაშვილი,
6. ა. ს. მაისურაძე,
7. ა. ი. მენაბდე,
8. მ. ლ. მიჩურინ-რაველი,
9. ი. მ. ფესტვენიძე,
10. გ. გ. სანაკოევი,
11. ს. ნ. ჭელიძე,
12. ვ. ი. ეგნატაშვილი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XII ყრილობა

ყრილობის გახსნა

26 თებერვალს, საღამოს, რუსთაველის სახელობის თეატრის შენობაში გაიხსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XII ყრილობა.

ყრილობა გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა **კ. ნ. ჩარკვიანმა.**

ორგანიზებულად ირჩევენ ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოებს.

პრეზიდიუმის შემადგენლობაში ყრილობამ აირჩია ამხანაგები: **კ. ნ. ჩარკვიანი, ვ. მ. ბაქრაძე, ა. ნ. რაფავა, კ. ნ. შეროზია, გ. თ. სტურუა, ი. დ. კოჭლამაზაშვილი, მ. ი. ბარამია, ს. გ. ბაზანდარაშვილი, ი. ვ. ტიულენევი, ი. ა. დორონინი, კ. გ. ბეჟვაია, გ. გ. თვალჭრელიძე, გ. ე. ნარსია, მ. ი. ჯაში, ს. გ. ხოშტარია, ვ. გ. ცხოვრებაშვილი, ს. მ. იშხანოვი, ბ. ნ. არუთინოვი, ვ. ე. სალაძე, ფ. ე. მახარაძე, მ. მ. კვარაცხელია, ა. ი. მირცხულავა, ვ. გ. გრიგორიანი, ვ. ი. ეგნატაშვილი, ვ. ფ. კვირიკაშვილი, ა. ე. თოფურიძე, შ. ე. ფურცხვანიძე.**

სამდივნოს შემადგენლობაში აირჩიეს ამხანაგები: **კ. ი. ბარიგიანი, ა. ს. ხუჯაძე, ნ. ი. ჩარკვიანი, მ. კ. დელბა, ნ. ვ. გაბუნია, გ. ი. კიკნაძე, ს. მ. ბეჟანოვი.**

სამანდატო კომისია არჩეულია შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: **მ. დ. ჩუბინიძე, ა. ი. კოჭლავაშვილი, დ. ლ. ყორყოლიანი, გ. დ. ჩაჩიბაია, შ. დ. ნუცუბიძე, გ. ა. გოჩაშვილი, ი. პ. ვაცეკი.**

ყრილობის სარედაქციო კომისიაში აირჩიეს ამხანაგები: **ი. კ. თავაძე, ვ. ა. ხატიაშვილი, ნ. პ. სარქისოვი, ე. ი. ჩერქეზია, ა. ფ. კვაჭაძე, ვ. ა. ლოლაძე, ბ. ა. ლიუდვიგოვი.**

ყრილობა მქუხარე აღფრთოვანებული ოვაციითა და ხანგრძლივი ტაშით საპატიო პრეზიდიუმში ირჩევს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს შემადგენლობას პარტიის დიდი ბელადის ამხანაგ **ი. ბ. სტალინის** მეთაურობით და აგრეთვე ამხანაგებს: **ლ. პ. ბერიას, გ. დიმიტროვს, ე. ტელმანსა** და **ხოზე დიასს.**

დიდხანს გრძელდება მქუხარე ოვაცია ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად.

ყრილობის დელეგატები ფეხზე დგებიან ერთიანი გრძნობით აღგზნებულნი. დარბაზიდან მოისმის შეძახილები „გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**“, „ურა!“, „ვაშა!“, „სალამი მშობლიურ **სტალინს!**“, „გაუმარჯოს **ლენინ - სტალინის** პარტიას!“, „გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს!**“.

დიდხანს არ სცხრება ოვაცია დარბაზში. ახალი ძალით გაისმის მქუხარე ტაში, მისასალმებელი შეძახილები, რომლებიც გამოხატავენ მხურვალე სიყვარულს და ერთგულებას მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადის, მამისა და მასწავლებლის ამხანაგ **სტალინისადმი.**

დარბაზის ყოველ კუთხეში გაისმის მისასალმებელი შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“, „ურა!“, „ვაშა!“.

ყრილობის დელეგატები მხურვალედ ესალმებიან ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** არჩევას საპატიო პრეზიდიუმში. დარბაზში გაისმის მისასალმებელი შეძახილები: „გაუმარჯოს დიდი **სტალინის** ერთგულ მოწაფეს ამხანაგ ლავრენტი **ბერიას!**“, „გაუმარჯოს სტალინურ სახკომს, სახელოვან საბჭოთა დაზვერვის ხელმძღვანელს ამხანაგ **ბერიას!**“.

დღისწესრიგისა და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ ყრილობა უდიდესი აღფრთოვანებით, მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციით ღებულობს ამხანაგ **სტალინისადმი** მისალმების ტექსტს.

მისალმების ტექსტის კითხვას არაერთხელ სწყვეტს მქუხარე ტაში და მისასალმებელი შეძახილები ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად.

ყრილობა ხანგრძლივი ტაშითა და დიდი გულთბილობით ერთსულოვნად ღებულობს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ამხანაგ **ლავრენტი პავლეს-ძე ბერიასადმი** მისალმების ტექსტს.

ამით მთავრდება ყრილობის პირველი სხდომა.

27 თებერვლის დილის სხდომის დღიური

საქართველოს კ. პ. (ბ) XII ყრილობის 27 თებერვლის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივნის ამხანაგ **კ. ნ. ჩარკვიანის** მოხსენება „ამხანაგ ვ. მ. **მოლოტოვის** მოხსენების თეზისებზე საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ“. მომხსენებელს ყრილობის დელეგატები ტაშით შეხვდნენ.

ამხანაგ **კ. ნ. ჩარკვიანის** შინაარსიანი მოხსენება ყრილობამ დიდი ყურადღებით მოისმინა. დელეგატები არაერთხელ აწყვეტინებდნენ მოხსენებას მქუხარე ტაშით დიდი **სტალინისა** და მისი საუკეთესო მოწაფის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** პატივსაცემად.

კამათში ამხანაგ კ. ჩარკვიანის მოხსენების გამო ყრილობის დილის სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: **გ. ჩაჩიბაია** (საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი), **ნ. ვასილიევი, ნ. ბაიდაშვილი** (საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი), **ი. კოჭლამაზაშვილი** (თბილისის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი), **გ. დარაშვილი** (საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის მდივანი), **ლ. რუხაძე** (საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარი) და **გ. კირვალიძე** (საქ. კ. პ. (ბ) ახალციხის რაიკომის მდივანი).

27 თებერვლის საღამოს სხდომის დღიური

27 თებერვლის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხანაგ **კ. ჩარკვიანის** მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდნენ შემდეგი ამხანაგები: **ი. ლალიძე** (კოლხიდმშენის უფროსი), **გ. თვალჭრელიძე** (საქ კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი), **პ. აზარაშვილი** („სამტრესტის“ დირექტორი), **მ .ბარამია** (საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი), **ა. მგელაძე** (ტრესტ „საქნავთის“ მმართველი), **კ. ბეჟვაია** (საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი), **მ. ჩუბინიძე** (საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანი), **ს. ხოშტარია** (საქ. სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარი), **ბ. ყურაშვილი** (საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის მდივანი), **ვ. სიხარულიძე** (საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომის მდივანი), **გ. მიხანაშვილი** (საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის მდივანი), **ვ. ლოლაძე** (საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანი), **ვ. ვართაზაროვი** (საქ. კ. პ. (ბ) ყარაიას რაიკომის მდივანი) და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **მ. ჯაში.**

28 თებერვლის დილის სხდომის დღიური

გახსნა რა საქართველოს კ. პ. (ბ) XII ყრილობის 28 თებერვლის დილის სხდომა, ამხ. **ჯაშმა** განაცხადა, რომ გარდაიცვალა ბოლშევიკური პარტიის უძველესი წევრი, **ვ. ი. ლენინის** მეგობარი და თანამებრძოლი, ამხანაგი **ნ. კ. კრუპსკაია.** ყრილობის დელეგატებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს ამხ. **ნ. კ. კრუპსკაიას** ხსოვნას.

ყრილობის დილის სხდომაზე კამათში ამხ. **კ. ჩარკვიანის** მოხსენების გარშემო გამოვიდნენ ამხანაგები: **ვ. ცხოვრებაშვილი** (საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ -ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი), **ა. კოჭლავაშვილი** (საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგე), **ფ. მახარაძე** (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე), **ი. ტიულენევი** (ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი), **ვ. ძიძიგური** (საქართველოს კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის მდივანი), **ბ. გოგუა** (საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი), **ს. ეული** (პოეტი) და **გ. ნარსია** (საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი).

დიდი სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი **ვ. ბაქრაძე,** რომელსაც ტაშით შეხვდნენ.

კამათის დამთავრების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ამხანაგი **კ. ჩარკვიანი.**

ყრილობამ გამოჰყო კომისია ამხანაგ **კ. ჩარკვიანის** მოხსენების გარშემო პრაქტიკულ წინადადებათა გამოსამუშავებლად, შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: **კ. ჩარკვიანი, ვ. ბაქრაძე, ს. ხოშტარია, ი. კოჭლამაზაშვილი, კ. ბეჟვაია, მ. ბარამია, ა. კოჭლავაშვილი, ვ. ცხოვრებაშვილი, კ. ჭიჭინაძე, ბ. არუთინოვი, გ. ნარსია, გ. თვალჭრელიძე, გ. ჩაჩიბაია, ა. მგელაძე, ვ. ძიძიგური, მ. ჩუბინიძე, დ. ყორყოლიანი.**

28 თებერვლის საღამოს სხდომის დღიური

28 თებერვლის საღამოს სხდომაზე მოხსენებით საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის ამხანაგ ა. ჟდანოვის მოხსენების თეზისებზე — საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში ცვლილებათა შესახებ—გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ამხანაგი **კ. შეროზია,** რომელსაც ტაშით შეხვდნენ.

ამხანაგ შეროზიას მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: **გ. კოკაია** (საქართველოს კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის მდივანი), და **შ. ცქიტიშვილი** (საქართველოს კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის მდივანი).

ყრილობამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) XV ყრილობისა და სომხეთის კ. პ. (ბ) XII ყრილობისადმი მისასალმებელ დეპეშათა ტექსტი.

1 მარტის დილის სხდომის დღიური

1 მარტის ყრილობის დილის სხდომაზე ამხ. **კ. შეროზიას** მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: **ს. იშხანოვი** (საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი), **ი. შამუგია** (საქართველოს კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის მდივანი), **ლ. შენგელია** („ზარია ვოსტოკას“ სტამბის სტახანოველი), **ლ. დარბინიანი** (№ ნაწილი), **ი. თავაძე** (საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე), **ნ. გაბუნია** (საქართველოს კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანი), **შ. ჯაში** (№ ნაწილი), **ე. ჩერქეზია** (საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის მდივანი), **პ. დაისი** (საქართველოს კ. პ. (ბ) ასპინძის რაიკომის მდივანი), **ა. მირცხულავა** (საქართველოს ალკკ ც. კ-ის მდივანი), **ი. დვალი** (საქართველოს კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომის მდივანი), **გ. გოჩაშვილი** (საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი), **გ. ადამია** (საქართველოს კ. პ. (ბ) ზემო-სვანეთის რაიკომის მდივანი), **ა. კვაჭაძე** (საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანი), **ა. თოფურიძე** (საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის ხელმძღვანელი პარტორგანოების განყოფილების გამგე).

კამათის დასრულების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ამხანაგი **კ. შეროზია.**

ყრილობამ გამოჰყო კომისია ამხანაგ შეროზიას მოხსენების გამო პრაქტიკულ წინადადებათა გამოსამუშავებლად.

სხდომაზე გამოქვეყნებულ იქნა სომხეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XII ყრილობის მისასალმებელი დეპეშა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XII ყრილობისადმი, რასაც ყრილობა ხანგრძლივი ტაშით შეხვდა.

მოსკოვი

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი—ამხანაგ ლ. პ. ბერიას

ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ!

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XII ყრილობა ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, დიდი **სტალინის** ერთგულ მოწაფეს, სახელოვანი საბჭოთა დაზვერვის ხელმძღვანელს!

ხელმძღვანელობდით რა მთელი რიგი წლების განმავლობაში საქართველოს კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას), თქვენ შთაუნერგეთ პარტიულ ორგანიზაციებს მუშაობის სტალინური სტილი და უზრუნველჰყავით სოციალისტური ორდენოსანი საქართველოს უაღრესად სწრაფი აღმავლობა და აყვავება.

თქვენ შთამაგონებლად და წარმტაცად გადაუშალეთ მთელ **ჩვენს** პარტიას სახელოვანი წარსული საქართველოს და კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციებისა, რომელთა მთელი ისტორია მათი ჩასახვის დღიდან განუყრელად დაკავშირებულია დიდი **სტალინის** სახელთან.

დაულალავად იცავდით რა პარტიული რიგების სიწმინდეს, ზრდიდით რა მათ სტალინური შეტევითი სიფხიზლის სულისკვეთებით, თქვენ გვასწავლეთ ხალხის დაუძინებელი მტრების ოინების გამოცნობა. თქვენი ხელმძღვანელობით საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა ულმობლად გაანადგურეს ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინელი და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტი აგენტები.

ჩვენს უდიდეს წარმატებებს სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ იმ ბოლშევიკურ სიმტკიცესა და გულისხმიერებას, რომლითაც თქვენ ყოველდღიურად გვზრდიდით პირადი მაგალითით და გვრაზმავდით დიდი **სტალინის** ნებისყოფისა და მითითებათა განხორციელებისათვის, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) სტალინური ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა ბოლშევიკურად შესრულებისათვის.

კონკრეტული და ოპერატიული მუშაობისა და ხელმძღვანელობის სტალინური მეთოდების ამ სკოლამ მაღალი პარტიული პრინციპულობის მაგალითებზე აღზარდა სოციალიზმის მშენებელთა ახალი კადრები, უსაზღვროდ ერთგულნი პარტიისადმი, მისი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ **სტალინისადმი.**

სოციალისტური მშენებლობის უდიდესი წარმატებანი საქართველოში მიღწეულია შეურიგებელი ბრძოლის საფუძველზე, რომელსაც თქვენი ხელმძღვანელობით აწარმოებდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გატარებისათვის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ხალხთა ძმური თანამეგობრობის განმტკიცებისათვის მებრძოლი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ, ხალხთა დიადი სტალინური მეგობრობის დროშის ქვეშ.

საქართველოს ბოლშევიკები —საკ. კ. პ. (ბ) მონოლიტური რაზმი —თავის XII ყრილობაზე წარსდგნენ შემჭიდროებული რიგებით, მაღლა უჭირავთ რა **ლენინ-სტალინის** მძლავრი, უძლეველი დროშა, მზად არიან რა შეასრულონ პარტიისა და ხალხთა დიდი ბელადის, მშობლიური და საყვარელი **სტალინის** ყოველი მითითება.

ისტორიული წინასაყრილობო დოკუმენტები — ამხანაგების **მოლოტოვისა** და **ჟდანოვის** მოხსენებათა თეზისები, — რომლებიც მხურვალედ და ერთსულოვნად მოწონებულ იქნა პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, რაიონულ და საქალაქო პარტკონფერენციებზე, გრანდიოზულ პერსპექტივებს შლიან საბჭოთა ქვეყნის წინაშე, რომელიც შევიდა განვითარების ახალ ხანაში, უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის ხანაში.

ამ ისტორიულ წინასაყრილობო დოკუმენტებთან დაკავშირებით უაღრესად პასუხსაგები ამოცანები ისმება ორდენოსანი საქართველოს სოციალისტური მრეწველობისა და აყვავებული სოფლის მეურნეობის წინაშე, საქართველოსი, რომელიც თავის უდიდეს წარმატებებს უნდა გიმადლოდეთ თქვენ, ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ!

ამ ამოცანების შესრულებისათვის საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) იბრძოლებს სტალინურად, როგორც ამას გვასწავლიდით თქვენ, და კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავს თავის რიგებს საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და დიდი **სტალინის** გარშემო.

გაუმარჯოს კომუნიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორს, ჩვენს მამასა და შთამაგონებელს, მშობლიურ, საყვარელ იოსებ ბესარიონის-ძე **სტალინს!**

გაუმარჯოს სტალინურ სახკომს, საბჭოთა დაზვერვის სახელოვან ხელმძღვანელს ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას!**

1 მარტის საღამოს სხდომის დღიური

ყრილობის საღამოს სხდომაზე 1 მარტს ყრილობის სამანდატო კომისიის მოხსენებით გამოვიდა ამხ. მ. ჩუბინიძე.

შემდეგ ყრილობა შეუდგა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის გადამწყვეტი და სათათბირო ხმის მქონე დელეგატთა კანდიდატურების დასახელებას.

ფარული კენჭისყრისათვის სიების დამტკიცების შემდეგ ყრილობამ აირჩია დამთვლელი კომისია 21 ამხანაგის შემადგენლობით.

შემდეგ გამოცხადებულ იქნა შესვენება საღამოს 10 საათამდე.

შესვენების შემდეგ შესდგა ფარული კენჭისყრა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის გადამწყვეტი და სათათბირო ხმის უფლების მქონე დელეგატთა ასარჩევად.

2 მარტის დილის სხდომის დღიური

ყრილობის 2 მარტის დილის სხდომაზე ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლუციები ამხანაგ კ. ჩარკვიანის მოხსენების გამო—საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების თეზისებზე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ და ამხანაგ კ. შეროზიას მოხსენების გამო — საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის ამხანაგ ა. ჟდანოვის მოხსენების თეზისებზე საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში ცვლილებათა შესახებ.

ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის ამხანაგ ვ. მოლოტოვისა და ამხანაგ ა. ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა დამთვლელი კომისიის თავმჯდომარის ამხ. ს. იშხანოვის საინფორმაციო ცნობა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების ასარჩევად ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ.

აღფრთოვანებული ოვაციით, მგზნებარე მისასალმებელი შეძახილებით, დაუსრულებელი ტაშით შეხვდნენ დელეგატები ცნობას იმის შესახებ, რომ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის პირველ დელეგატად ერთხმად არჩეულია მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი. მთელს დარბაზში გაისმის შეძახილები:

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ ამხანაგ სტალინს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას! „ურა!“, „ვაშა!“. ოვაციები კვლავდაკვლავ მეორდება ახალი სიძლიერით.

დიდი სიხარულით, მქუხარე ხანგრძლივი ტაშით ფეხზე მდგომნი მიესალმნენ ყრილობის დელეგატები, ცნობას საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის დელეგატად დიდი სტალინის ერთგული მოწაფის—ამხანაგ **ლ. პ.** ბერიას არჩევის შესახებ.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე გასაგზავნად არჩეულია 39 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 12 — სათათბირო ხმით.

ყრილობის დღის წესრიგი ამოიწურა. თავმჯდომარე ამხანაგი კ. ჩარკვიანი საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XII ყრილობას დახურულად აცხადებს.

საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ სტალინის გარშემო საქართველოს ბოლშევიკების ურყევი დარაზმულობის გამომხატველი ერთსულოვნებით დელეგატები ფეხზე დგებიან და მღერიან „ინტერნაციონალს“.

ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსაგან

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებენ პარტიას, მუშათა კლასსა და ყველა მშრომელს, რომ 27 თებერვალს, დილის 6 საათსა და 15 წუთზე მოსკოვში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პარტიის უძველესი წევრი, ვ. ი. ლენინის უახლოესი თანაშემწე, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ნ. კ. კრუპსკაია.

გარდაცვალება ამხ. კრუპსკაიასი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე კომუნიზმის საქმეს მოახმარა, დიდი დანაკლისია პარტიისა და სსრ კავშირის მშრომელებისათვის.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების)
ცენტრალური კომიტეტი
სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საკ. კ. პ. (ბ) უძველესი და უერთგულესი წევრი, კომუნიზმის საქმისათვის დაუღალავი მებრძოლი, დიდი ლენინის ერთგული მეგობარი და თანამებრძოლი, **სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. ნადეჟდა კონსტანტინეს-ასული კრუპსკაია.**

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსაგან

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებენ მშრომელთ, რომ გარდაიცვალა საბჭოთა ხალხის ერთგული შვილი, ბოლშევიკური პარტიის ერთერთი უძველესი და უერთგულესი მუშაკი, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ახლო მეგობარი — ამხანაგი **ნ. კ. კრუპსკაია.**

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.
საქართველოს სსრ სახკომსაბჭო.

ხალხის ერთგული შვილი

27 თებერვალს გარდაიცვალა ბოლშევიკური პარტიის ერთ-ერთი უძველესი და უერთგულესი მუშაკი, **ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის** ახლო მეგობარი და ამხანაგი **ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია.**

ნ. კ. კრუპსკაია დაიბადა 1869 წლის 26 თებერვალს. სასწავლებელში ყოფნის დროსვე იგი გატაცებით დაეწაფა **მარქსისა** და **ენგელსის** ნაწარმოებთა შესწავლას. ნ. კ. კრუპსკაია შედის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირში", რომელიც **ლენინმა** შექმნა მარქსისტ-მუშათა წრეებისაგან. 1895 წლის დეკემბერს, **ვ. ი. ლენინის** დაპატიმრების შემდეგ, ამხანაგები **ლენინთან** დაკავშირებული იყვნენ ნ. კ. კრუპსკაიას საშუალებით.

ნ. კ. კრუპსკაიამ მჭიდროდ დაუკავშირა მთელი თავისი ცხოვრება მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეს. იგი უაღრესად აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა რევოლუციურ იატაკქვეშეთის მუშაობაში. იგი ვერ გასტეხეს და ვერ შეაშინეს რეპრესიებმა, რომლებსაც მეფის მთავრობა მის წინააღმდეგ იყენებდა.

1901 წლის მარტში ნ. კ. კრუპსკაია გაემგზავრა მიუნხენს, სადაც ამ დროს ცხოვრობდა **ლენინი** და სადაც იმყოფებოდა „ისკრას" რედაქცია. ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა დაიწყო იქ მუშაობა „ისკრას" რედაქციის მდივნად. ნ. კ. კრუპსკაია აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა პარტიის მეორე და მესამე ყრილობების მომზადებასა და მუშაობაში.

1905 წლის ნოემბერში **ვ. ი. ლენინი** და ნ. კ. კრუპსკაია ჩავიდნენ პეტერბურგს. დეკემბრის დამლევს ნ. კ. კრუპსკაია მონაწილეობას იღებდა ბოლშევიკთა ტამერფორსის კონფერენციაში, სადაც პირველად გაიცნო ამხანაგი **სტალინი.**

1907 წელს **ლენინი** და კრუპსკაია იძულებულნი გახდნენ წასულიყვნენ საზღვარგარეთ, ჟენევაში. 1908 წლის დამლევს **ლენინთან** ერთად პარიზში ყოფნის დროს კრუპსკაია აქტიურ მონაწილეობას იღებს ბოლშევიკების ბრძოლაში ლიკვიდატორებთან და ოტზოვისტებთან.

თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ კრუპსკაია დაბრუნდა რუსეთში და დაიწყო მუშაობა ბოლშევიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოში. ის მონაწილეობას იღებს პარტიის მეექვსე ყრილობის მუშაობაში. ეს ყრილობა მიმდინარეობდა დიდი **სტალინის** უშუალო ხელმძღვანელობით. 1917 წლიდან კრუპსკაია ინიშნება განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად. 1929 წლიდან ამხ. კრუპსკაია იყო რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისრის მოადგილედ და ხელმძღვანელობდა მთელ პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობას.

მთელი ამ წლების განმავლობაში ამხ. კრუპსკაია იყო კომუნისტური პარტიის პოლიტიკის მტკიცე გამტარებელი კულტურულ ფრონტზე, დაუღალავი მებრძოლი სოციალისტური კულტურისათვის. ამ მუშაობის პროცესში ნადეჟდა კონსტანტინეს ასული აქტიურად ებრძოდა ხალხის საზიზღარ მტრებს—ტროცკისტ-ბუხარინელ ჯაშუშებსა და დივერსანტებს. თავის ერთ-ერთ გამოსვლაში იგი ამბობდა: „ჩვენ თვალის ჩინივით უნდა გაუფრთხილდეთ სოციალიზმის გამარჯვებებს ჩვენს ქვეყანაში. ჩვენი ხალხი ყველაზე მწვავე სიძულილს განიცდის იმათ მიმართ, ვინც იბრძვის ლენინ-სტალინის საქმის წინააღმდეგ, იმათ მიმართ, ვინც ღალატობს მუშათა კლასის საქმეს".

საბჭოთა ხალხის ერთგული შვილი ამხ. კრუპსკაია მთელ თავის ძალღონეს, მთელ თავის ცოდნას ხალხს ახმარებდა.

ამხ. კრუპსკაია იყო საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის წევრი, ს. ს. რ. კ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. მშრომელი მასების კომუნისტური განათლების დარგში განსაკუთრებული თავდადებული მუშაობისათვის ამხანაგი კრუპსკაია დაჯილდოვებული იყო ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით.

ნ. კ. კრუპსკაიას დაკრძალვა

მოსკოვი, 2 მარტი (საკდესი). დღეს წითელი დედაქალაქი ასაფლავებდა ნადეჟდა კონსტანტინეს-ასულ **კრუპსკაიას.**

ისევე, როგორც წინადღით, მის წინაშე უკანასკნელი ვალის მოსახდელად კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში ათასობით მშრომელები მოვიდნენ. უხუცესი ბოლშევიკის ცხედართან გამოსამშვიდობებლად მოვიდნენ საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის VII საოლქო და VI საქალაქო გაერთიანებული კონფერენციის დელეგატები.

განსვენებულის ნეშტთან მისვლა შესწყდა 15 საათსა და 30 წუთზე. ამის შემდეგ დარბაზში ნადეჟდა კონსტანტინეს - ასულის მხოლოდ უახლოესი მეგობრები დარჩნენ.

16 საათსა და 30 წუთზე ამხანაგებმა ნ. ა. ბულგანინმა, მ. მ. ლიტვინოვმა, ნ. მ. შვერნიკმა, ემელიან იაროსლავსკიმ, მ. მ. კაგანოვიჩმა, გ. ი. პეტროვსკიმ, ლ. ზ. მეხლისმა, ს. მ. ბუდიონიმ, გ. ი. კულიკმა, ა. დ. ლოქტიონოვმა ასწიეს კატაფალკი ურნითურთ და წაასვენეს კავშირთა სახლიდან ოხოტნი რიადით, სადაც ჩამწკრივებული იყო საპატიო სამხედრო ესკორტი.

წითელი მოედანი გაჭედილი იყო დედაქალაქის მშრომელთა დელეგაციებით. დიადი მდუმარებით ეთხოვებოდა საბჭოთა ხალხი თავის ღირსეულ შვილს. გლოვის ნიშნად მრავალათასიანმა კოლონებმა დაჰხარეს სამგლოვიარო არშიაშემოვლებული ალისფერი დროშები.

17 საათზე სამგლოვიარო კატაფალკი დადგმულ იქნა პოსტამენტზე, ლენინის მავზოლეუმის წინ. მავზოლეუმის ტრიბუნაზე არიან ამხანაგები ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, კ. ე. ვოროშილოვი, მ. ი. კალინინი, ა. ი. მიქოიანი, ა. ა. ანდრეევი, ნ. მ. შვერნიკი, ნ. ა. ბულგანინი, ა. თ. გორკინი, ო. ფ. ლეონოვა.

სამგლოვიარო კრება გახსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ა. თ. გორკინმა. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მთავრობის სახელით გამოდის ნ. მ. შვერნიკი. მოსკოვის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისა და მშრომელთა სახელით გამოსამშვიდობებელ სიტყვას ამბობს საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ს. შჩერბაკოვი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მოსკოვის სვერდლოვის რაიონის № 175 სკოლის დირექტორი ამხ. ო. ფ. ლეონოვა სიტყვას ამბობს განათლების მრავალმილიონიანი მუშაკებისა და საბჭოთა ინტელიგენციის სახელით.

სამგლოვიარო კრების დამთავრების შემდეგ ამხანაგებმა: ი. ბ. სტალინმა, ვ. მ. მოლოტოვმა, ლ. მ. კაგანოვიჩმა, კ. ე. ვოროშილოვმა, მ. ი. კალინინმა, ა. ი. მიქოიანმა, ა. ა. ანდრეევმა, მ. ფ. შკირიატოვმა, ემელიან იაროსლავსკიმ, ა. ს. შჩერბაკოვმა მზრუნველობით ასწიეს სამგლოვიარო კატაფალკი ურნითურთ და წაასვენეს კრემლის კედლისაკენ, რომელმაც სამუდამოდ მიიბარა ბოლშევიკური პარტიის უხუცესი წევრის, ლენინის უახლოესი მეგობრისა და თანაშემწის, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. კ. კრუპსკაიას ნეშტი.

ამხ. ს. ეულის სიტყვა საქართველოს კ. პ. (ბ) XII ყრილობაზე

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს წითელ დედაქალაქში შეიკრიბებიან საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიული მეთვრამეტე ყრილობის დელეგატებად არჩეული ამხანაგები.

იმ დარბაზში, სადაც სხდომები ექნება ყრილობას, ისინი ნახავენ იმ ადამიანს, რომელიც თვითეული ჩვენგანის სიყვარულია, რომლის სახელიც ანსახიერებს სოციალისტური სამშობლოს სიდიადესა და ძლიერებას, რომელმაც შექმნა ჩვენი ბედნიერი ცხოვრება და სიხარულით აღავსებს ამ ცხოვრების ყოველ წუთს. მისი სახელია — **სტალინი. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგ **მოლოტოვის** მოხსენების თეზისებში განსაკუთრებული მკაფიობით ასახულია ბრძოლისა და შემოქმედების ის დიადი გზა, რომელიც განვლო საბჭოთა ხალხმა **ლენინ-სტალინის** პარტიის ხელმძღვანელობით საკ. კ. პ. (ბ) XVII-დან XVIII ყრილობამდე.

ჩვენს წინაშეა სოციალიზმის გრანდიოზული დიდებული შენობა. და ის ოცნება, რომლისთვისაც მრავალი საუკუნის მანძილზე თავის სიცოცხლეს სწირავდნენ კაცობრიობის საუკეთესო შვილები, ახლა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტურ სინამდვილედ იქცა.

და აი, როდესაც ჩვენი ქვეყანა შევიდა განვითარების ახალ ხანაში, „როცა გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეს, კომუნიზმის მშენებელ ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევას" (ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების თეზისებიდან), მხატვრული ლიტერატურის როლი ამ საქმეში უეჭველად უდიდესი ხდება.

დიდმა ბელადმა და მასწავლებელმა ამხანაგმა **სტალინმა** ბრძნულად განსაზღვრა საბჭოთა ლიტერატურის როლი, უწოდა რა მწერლებს „ადამიანის სულის ინჟინრები".

ვიბრძვით რა მესამე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, უზრუნველვყოფთ რა კომუნიზმის საბოლოო წარმატებას მის ისტორიულ შეჯიბრებაში კაპიტალიზმთან, ჩვენ არ უნდა ვივიწყებდეთ კაპიტალისტურ გარემოცვას და ყოველნაირად უნდა ვაძლიერებდეთ ჩვენს რევოლუციურ სიფხიზლეს.

საბჭოთა მწერლების საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს ახალ მაღალხარისხოვან ნაწარმოებთა შექმნა თავდაცვითს თემაზე.

ჩვენ უნდა მივცეთ ჩვენს ხალხს, ჩვენს სახელოვან წითელ არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს მკაფიო მხატვრული ტილოები, რომლებიც შესაფერისი იქნება დიადი სტალინური ეპოქისა.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა მწერლების წინაშე მესამე ხუთწლედში უდიდესი შემოქმედებითი პერსპექტივები იშლება.

საბჭოთა ლიტერატურა სახალხო ლიტერატურაა და ჩვენი მწერლები განუყრელად დაკავშირებული არიან საბჭოთა ხალხთან. ამიტომ მათი მთავარი ამოცანაა ასახონ ახალი ადამიანები—კომუნიზმის მშენებლები, ხალხის მიერ წამოყენებული გმირები.

საბჭოთა ლიტერატურა გარემოსილია პარტიისა და მთავრობის და პირადად ამხანაგ **სტალინის** განსაკუთრებული ყურადღებით. **(ტაში).**

საქართველოს საბჭოთა ლიტერატურას ერთერთი პირველი ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირის მოწინავე ძმურ ლიტერატურათა რიგში.

ქართველმა საბჭოთა მწერლებმა გასწმინდეს თავისი რიგები ხალხის საზიზღარი მტრებისაგან, რომლებიც მოტყუების გზით შეიპარნენ ჩვენს ლიტერატურულ ორგანიზაციებში. მწერალთა საზოგადოებრიობა მჭიდროდ დარაზმულია იმ ამოცანების გარშემო, რომლებიც დაუსახეს მას პარტიამ და ხალხმა.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საქმეში უდიდესი როლი ითამაშა იმ მზრუნველობამ და დახმარებამ, რომელსაც ჩვენდამი, მწერლებისადმი, უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში იჩენდა, ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი, ერთგული სტალინელი, ამხანაგი ლავრენტი ბერია. **(ტაში).**

საქართველოს მწერლებისათვის ყოველთვის სახელმძღვანელო იქნება ამხანაგ ბერიას მითითებანი და მისი სიტყვები იმის შესახებ, რომ „საბჭოთა მწერალი უნდა იყოს უწინარეს ყოვლისა საბჭოთა ხელისუფლების, სოციალისტური სამშობლოს, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული ადამიანი, მას უნდა უყვარდეს საბჭოთა ხალხი, თავისი საბჭოთა სამშობლო, ღრმად უნდა სწამდეს მისი ძალა და ძლიერება, იგი გულწრფელი და მართალი უნდა იყოს თავის ნაწარმოებებში, იგი უნდა განამტკიცებდეს, აფართოებდეს თავის კავშირს მშრომელთა ფართო ფენებთან".

საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საქმეში შესანიშნავი წარმატებებისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საბჭოთა კავშირის ორდენებით დააჯილდოვა, ჩვენი დიადი სამშობლოს ძმურ ლიტერატურათა საუკეთესო წარმომადგენლებთან ერთად, ქართული ლიტერატურის 12 მოწინავე წარმომადგენელი.

ამ მაღალმა ჯილდომ აღაფრთოვანა საბჭოთა საქართველოს მწერლების მთელი კოლექტივი და ისინი კიდევ მეტი ენერგიით იბრძოლებენ მხატვრული ლიტერატურის ახალი და ახალი მიღწევებისათვის, რომლებიც დიადი სტალინური ეპოქის შესაფერისი იქნება.

დასასრულ, ნება მიბოძეთ მივმართო იმ ამხანაგებს, რომლებიც არჩეული იქნებიან ლენინ-სტალინის დიადი პარტიის XVIII ყრილობის დელეგატებად.

ზოგი მთიდან ხართ, ზოგი ბარიდან, —
ყველა კი ერთი გულით მღელვარე,
რადგან მოელით კრემლის კარიდან
შემოგანათებთ სახე ელვარე.
მიდიხართ და თქვენ ჩვენი გულები
მიგაქვთ შეკრული მისთვის ერთ გულად,
რომ შევეფიცოთ — ვართ ერთგულები,
მისთვის ვიბრძოლებთ მუდამ ერთგულად.
მიდიხართ, მიგაქვთ ქართველი ხალხის
და საქართველოს მგზნებარე გული,
მხოლოდ გახსოვდეთ, ბელადის ნახვის
მონატრე გულს აქვს ფრთები შესხმული.
და სანამ დღეებს დაფარავთ გზაში,
სანამ იხილავთ კრემლს გახარებით,
სამშობლოს გული სხდომის დარბაზში
მოგეგებებათ წინ მღელვარე ბით.
შემოგესმებათ ხმა მეგობრული —
მხრები იგრძნობენ ხელის შეხებას
შეხედავთ მას და ყველა ლომგული,
მას როგორც ძმები შემოეხვევა.
გკითხავთ: — „ბიჭებო, ყველა კარგათ ხართ?".
თქვენ წისცემთ პასუხს: ყველა, ვით ერთი —
დიდი ბელადის დღეგრძელობით და
თქვენი სიცოცხლით, ჩვენო ლავრენტი!
ამ დროს მზის სახე დარბაზს შუქს მოფენს,
ხალხთა თერთმეტ გულს, მასთან მიტანილს,
შეძახილები ქექად ამოხეთ ქს,
— ვაშა ჩვენს ბელადს, სიცოცხლე სტალინს!
(ტაში)



ქოხი სადაც დაიბადა ტ. შევჩენკო
ნახ. ტ. შევჩენკოსი.

მ ზ ა დ ე ბ ა

(ნაწყვეტი რომან „ურდუმი"-დან)

შალვა დადიანი

წვრილი წკნელით მოწნულ კარვამოზრდილ ფაცხაში ბავშვებს და მამაკაცებს ჯერ კიდევ ეძინათ, მხოლოდ გუქიტიას და ედუს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭიათ: წინასწარ დაკლული და აქნილი ბურვაკი ცალკე ხის ხონჩაზე ცივდებოდა, საგანგებოდ გასუქებული ყვერული, უკვე ხათრითზე შებრაწული, ეხლა შამფურ-გამოღებული, ცალკე იყო გადანახული და ქალები ამჟამად კვერეულებს, დედა-პურს და ღვეზელს აცხობდნენ ჩაჯარჯულის კვერცხებით.

მოსდენილი ედუ კი ყვერულისათვის უცხო რამ საწებელსაც ამზადებდა.

გუქიტია ხან ერთ კვერცხს ჩამოუვლიდა, ხან მეორეს და თან ერთიმეორეზე კერასთან შეწყობილ „ჩაჩამუტებს" ათვალიერებდა.

კერა გაბდღიალებული იყო და ფაცხაში ირგვლივ საკმაო სითბოს ფანტავდა, მაგრამ გუქიტიას მოყვარული გული მაინც ხშირად გასწევდა შვილი-შვილების საწოლისაკენ და ჩამოჩოჩებულ საბანს ხშირად უსწორებდა.

ედუმ ეს შეამჩნია და ბოლოს ანუგეშა:

— მშვენიერი ამინდი დგება, დედი, ნუ გეშინია, არ გაცივდებიან.

— აღარა თოვს?

— არა, თოვს, კარგა ბარდნის, მაგრამ შუში ამინდია.

— ხვალინდელი დღე ბედნიერი დღეა, შვილო, ამ დღეს ჩვენი ოჯახისანი ყველანი თავს იყრიან და ჩემი გულიც მით არის გახარებული. მხოლოდ მურზა რომ არა სჩანს, ეს მაწუხებს.

— მურზამ აქი შემოთვალა, მეც მოვალ და უტუსაც ჩამოვიყვანო.

— უჰ, უტუს ენაცვალოს მამიდა მისი! ნეტავი მართლა?

— უტუს მოსვლა მეც ძალიან მიამება, — ცოტა შევჯიანებით წარმოსთქვა ედუმ: — მაგრამ თუ სხვაჯვარელებიც მოჰყვა, შენს მტერს...

— რატომ, ედუ, „ჯ-ჯ"-თი გაგაყრუებენ, არა?

— აბა რას ჰგავს! აი თუნდა არამ-ხუტუს ლექსი, შენ რომ მასწავლე:

„ინგირი გუჩჩურუნა ჯო
ქობიჯგვენა მოროჟაცი

„ჯვარალენქ დიიშაყარუ: მუში
ხატის ქააჩვეწუნა —
„უბეჯური არამ-ხუტუ ცირას ნე
მიჯამიღანა...
უბეჯური არამ-ხუტუ ჯვარს ჰუქი
ვა წეედუნა.
„ენა ვა ჯეეჯურუ ჯო ინგირი
განაჭკაჭას ჯას გოსხაპუ.
ოკალმახეშა ქიმერთენი ჯვარელთ
ხატენქ ქიმიაჭიშუუ
„ჯო ჯიხაშა ჯუჯი ქოხანგუ.
„მუში ნარჩვი იარაღი ასეთ
ჯგეგეს ქოწოსფანჯუ" [1]).

ედუ ამ ლექსს ისეთის პრანჭიაგრეხით გადმოსცემდა და ჩვეულებრივ „დ"-ს ნაცვლად „ჯ"-ს ისეთი დაცინვით გამოიტყოდა, რომ გუქიტიამ სიცილი ვერ შეიკავა და კარგა ხმამაღლა გადაიკისკისა.

ამ სიცილზე ოჯახის უფროსი გოჯოგია საწოლში შეიშმუშნა და საბნიდან თავი გადმოჰყო.

— არა, ბატონო, ჯერ იყავი, ჯერ კიდევ ადრეა. მე უბედურს გამეცინა და გაგაღვიძე, — დაინანა გუქიტიამ.

მაგრამ მოხუცმა მეუღლემ აღარ მოინდომა ტყუილ-უბრალო კოტრიალი. ძილით გამოვიძინეო, მოიმიზეზა და წამოდგა. ახალოხი გადაიცვა, ქალამნებში ფეხი თასმა-შეუკვრელად გაუყარა და ქალი, შინ მოქსოვილი შალის ყაბალახი თითქო დაუდევრად წაიკრა.

მაგრამ მაინც ჯილასავით დაადგა სახეზე.

თვალი გადაავლო შენამზადებს. უკმაყოფილოდ თავი გაიქნია. წარმოსთქვა:

— დღეისთვის ძროხა უნდა დამეკლა, მაგრამ თვალი დაუდგა სიღარიბეს! შენ სადაბადოს კი ჯერ არ დავკლავ, ედუ.

ედუ გაწითლდა, რადგან სადაბადო, ე. ი. უშობელი სამღვთო შესაწირავი იყო, მაგრამ ოჯახში უფრო ქალიშვილისათვის იყო განკუთვნილი და უფრო გათხოვებისას დაუკლავდნენ, ან მზითვად გააყოლებდნენ.

მანამ კი სადაბადო საქონელი თავის ნებაზე იყო მიშვებული და მას არავინ ხელს არ ახლებდა, თვით თავზე ხელაღებული ქურდიც.

— თუმცა რაცა გვაქვს იმისთვისაც ღმერთს მადლობა შევწიროთ,— დაასვა ბეჭედი გოჯოგიამ. „კვალაზე" კერასთან ჩამოჯდა და გრძელტანიანი ჩიბუხი წენგოს თამბაქოთი გაბოლა.

გადაბედა იქვე კერასთან შორიახლო, ქილობზე მოკრუნჩხულ თავის უმცროს ვაჟს.

„ჰმ, „სარალო" მახარიკა!" — ღიმობიერად იწყო ფიქრი: — „ისევ ამით მიდგია სული". და თვალი მიმოავლო ფაცხას, თითქო პირველად უყურებსო.

„აგერ მწვანედ შეღებილი და რკინის სალტეებ-შემოკრული ხის კიდობანი, კუთხეში რომ მედიდურად მიმდგარა... მახარიკას მოტანილია... აგერ სპილენძის კარგა მოზრდილი ტასტი და თუნგი... ესეც... კიდევ ბევრი რამეები. ახლაც, სადღესასწაულოთ... ეს ღორი მაგან არ მოიყვანა? პურის ფქვილიც, წმინდა სანთლებიც... მარჯვეა ჩემი მახარიკა, მაგრამ კარგ კაცთან მოხვდა, კარგთან... რა ღვთისნიერი ვინმე ყოფილა ეს ცხაკუნია! ნამდვილი ადამიანი ყოფილა. მის ხელში შეიძინა ყველაფერი ეს მახარიკამ... ახლა თურმე იმასაც პირდება, რომ ჰალადიდში პატარა დუქანს გაგიღებ, პირველ ხანებში ფულსაც გასესხებ და... საქმეს გაუძღვიო. ეჰეი, თუ ეს მოხდა..."

და სიხარულის ოხვრა ამოხდა გულიდან.

გუქიტიამ მოიხედა.

— რას სწუხარ, ბატონო? გწყინს, რომ მურზა ჯერ კიდევ არსადა სჩანს?

— ეეჰ მუთარე[2]) მურზა ვინ იცის, სად დააქროლებს ახლა... ნამეტანი „გამწე" კაცია, ამაყი და მეშინია, თავს არაფერი აუტეხოს... კარგად იყოს, კარგად, მისი ჭირი შემეყაროს და... თუნდა დღესაც ნუ მოვა...

მურზას ახსენებაზე მახარიკა შეიშმუშნა.

ეტყობოდა, თავს იმძინარებდა, თორემ ფხიზლად იყო.

ფხიზლად იყო მიტომ, რომ აწვალებდა მურზას ამბავი. არ იცოდა, როგორ გაემხილა მშობლებისთვის და იმიტომ იყო შებინდებისას მოვიდა თუ არა, ცოტა რაღაც „წაიხემსა" და ვითომდა ძილს მისცა თავი.

დღეს კი არ იცის, როგორ მოიქცეს. საცაა გათენდება და როგორ დამალოს საიდუმლო. ან სანამდე დამალოს? მერე კიდევ ესეთ ბედნიერ დღეს, როგორ წაამწაროს მშობლებს დღესასწაული?

მაგრამ აქ უკვე ედუ ალაპარაკებულიყო: მურზას კი არა, უტუსაც მოველით დღესო.

აქ კი ვეღარ მოითმინა მახარიკამ და ედუს შეუბრუნა:

— რას ლაპარაკობ, გოგო, უტუ აქ სად მოვა, ცოლი შეირთო და ეხლა დიმიტრი პატენისქუას სასახლეში ცხოვრობს!

— არ გძინავს, ბიჭო? მაინც შეეკითხა გოჯოგია.

— უიმე, ღმერთო მომკალი! ჩვენმა ფუსფუსმა გამოგაღვიძათ ორთავენი! — კვლავ შეინანა გუქიტიამ.

გოჯოგიამ კი უბრძანა:

— იწექი, ბიჭო, იწექი, ჯერ ადრეა!

მაგრამ მახარიკა უკვე წამომდგარიყო და „ჩაფულას" იცვამდა.

— ეგ რა თქვი, შენ შემოგევლე, მახარიკა! — მიმართა გუქიტიამ. — ჩემმა უტუმ ცოლი შეირთო და ჩვენ არ შეგვატყობინა? მურზას მაინც რა დაემართა?

— ჩვენ როგორ შეგვატყობინებდა, დედა ჩემო, როდესაც მან აზნაურ ხუბუტიას მოსტაცა ქალი...

— მოსტაცა?

ყველამ შეიკვირვა.

— დიაღ, და დიმიტრი პატენისქუას შეევედრომა.

— დიმიტრი პატენისქუას? — გაიბრტყელა გოჯოგიამ.

— დიაღ და ამით იხსნა თავი ხუბუტიას დევნისაგან.

— მერე და, ბიჭო, დიმიტრი ვითომ რა ხეირს დააყრის? ვერ ყოფილა უტუ იმისთანა ჭკვიანი, მე რომ მეგონა. მელიას თავი დააღწია და ვეშაპს პირში ჩაუძვრა!

— ძალიან ლამაზი ქალიაო, ბატონო, ამბობენ. რაღაც უცნაური სახელიც ჰქვია, დალფინზაა, ვგონებ.

გოჯოგიამ მაინც უკმაყოფილოდ თავი გააქნია.

— არ მომეწონა მე ეს ამბავი! ან რათ უნდოდა ეს აზნაურის ქალი იმ დალოცვილს... ან პატენისქუას როგორ მიუყვანდი ლამაზ ქალს სასახლეში... თავადიშვილებში ერთიმეორეს არ ინდობენ, თორემ შევრდომილი გლეხის ცოლს ვინ გააჩერებს...

გუქიტიამ ცბიერად ჩაიქირქილა, რადგან გაასხენდა ბევრი გაგონილი, ედუ კი მამას გულში არ დაეთანხმა, უთუოდ უმატებსო. მაგრამ ამაზე დიდხანს არ შემდგარა, რადგან გოჯოგიას სიტყვებზე გაღიმებულ მახარიკას შეაჩერდა. მახარიკა უკვე თავზე ყაბალახს იხვევდა და... სულ სხვანაირად.

თითქო ამას ჩაუღრმავდა ედუ:

აი მამას სულ სხვანაირად აქვს ყაბალახი წაკრული. მახარიკას სულ სხვაგვარ. გაახსენდა, მურზა, როგორ იკეთებს: იმას ყაბალახის ქოჩოჩი მარცხენა ლოყისაკენა აქვს ჩამოშვებული, მახარიკას კი დამალული აქვს. მხოლოდ ყაბალახის წვეტები აქვს კეფასთან ულვაშებივით ზევით აწკეპილი.

და მართლაც რამდენნაირია ყაბალახის თავზე დახურვა.

გაახსენდა ედუს მეზობლები, გაახსენდა სოფლის „ობორეში" და იქ თავმოყრილი მამაკაცები, ახალგაზრდები, მოხუცები, სულ სხვა და სხვაა. სულ სხვა. ზოგი ქალის ლეჩაქივით გადაიფრიალებს, ზოგი მუზარადივით წამოიდგამს ყაბალახს, ზოგი ჩალმასავით იხვევს.

— შეხე, როგორი პრანჭიები ყოფილან მამაკაცებიც. ცხადია, კოხტაობენ თავიანთი ოსტატობით ყაბალახზე.

და ფართოდ გაეცინა.

მაგრამ თვითვე უცბად შეწყვიტა, რადგან დედ-მამა მახარიკას მურზაზე ჩაჟინებით ეკითხებოდა.

მახარიკა როგორღაც ურევდა, გარკვეულ პასუხს ვერ იძლეოდა. ბოლოს მაინც იმითი დაამშვიდა, რომ მთავრისა და დადიანების ჩხუბის შემდეგ აფხაზეთშია დარჩენილი და შერვაშიძის სასახლის კარზე უნდა იყოსო.

ქალებმა კეცებს მოაშორეს ნამცხვარი, გადაალაგეს. სხვა ყველაფერი უკვე მზად ჰქონდათ.

გოჯოგია წამოდგა და გუქიტიას უბრძანა, რომ ტაბაკი გაეწყო. ედუმ კი პირსაბანი წყალი მიურბენინა.

ორიოდე წუთის შემდეგ ყველანი დასუფთავებულნი და თმადავარცხნილები ტაბაკის გარშემო იდგნენ. მხოლოდ გოჯოგია სანთლებს არჭობდა კვერეულებში და გუქიტია აღვიძებდა წვრილფეხობას.

ისინიც ჭყლოპინით და ხელების ერთი მეორეზე გატკაცუნებით ფაცი-ფუცით ხელზე მოჰყვებოდნენ დედის ალერსს და ხამის პერანგის ამარა მსუნაგად გაჰყურებდნენ სადღესასწაულო უხვ სუფრას.

ისინი ღამიდანვე მოელოდნენ დილის „ხაცილს" და ეხლა მათი სიხარული ულოუბლო იყო...

○

ჩამოსხდნენ ტახტზე.

მაგრამ ეს არ იყო მშვიდი ჩამოჯდომა.

დალფინზა მფეთქავ ჩიტივით იძვროდა გასასხლეტად დიმიტრის მკლავთაგან.

იყო შიში თითქო რაღაც მოულოდნელისა...

ვაჟკაცი თანდათან ჰკუმშავდა ქალის სხეულს. მკერდზე იკრავდა ისე ძლიერ, რომ დალფინზას თითქო სული ეკვრებოდა.

მაგრამ იმავ დროს მაინც რა სანეტარო იყო ეს სულის შეხუთვა!

ქალმა იგრძნო, რომ თითქმის ლონემიხდილი უკვე ტახტზე წევს და ძლივ-გასაგონად იძახის მისი ბაგე:

— დიდო, დიდო, რას ჩადიხარ, ბატონიშვილო!

ამ დროს კარებმა საზარლად გაიხათქუნა და ოთახში შლიგინით შემოვარდა პატრონი და „რჯულიერი" ქმარი დალფინზასი უტუ მიქავა.

უტუსათვის პირველად ისეთი თავზარდამცემი იყო, რაც დაინახა, რომ სიბრაზისაგან სხვა ვერაფერი მოახერხა და რაღაც არაადამიანური ხმით წამოიძახა:

— რას ჩადიხარ, ბატონიშვილო!

ბატონიშვილი თითქო გაქვავდაო, არ შენძრეულა, მხოლოდ თავი მოიბრუნა და ყალბი სიმშვიდით, უხეირო ღიმილის დაყოლებით, მაგრამ მაინც მკაფიოდ წარმოსთქვა:

— ბატონიშვილი შენ ყოფილხარ! რა ცოლი გყოლია!

— უჰ, შენი რჯული! — ამ დროს მოსწყდა უტუ ადგილიდან და მის ხელში ბასრმა ხანჯალმა გაიელვა, მაგრამ მყისვე მკლავებში ორთავე მხრით ვიღაცის ხელები ჩაექიდა და სიმძლავრით მოქნეული მისი სხეული ოთახის კუთხეს მიახეთქა.

ეს დიმიტრის ერთგული უჩანა იყო.

მის უკან კიდევ იდგა ორი შინაყმა.

სამთავენი, თურმე, ბატონს სავინიცობოდ დარაჯობდნენ.

დიმიტრიმ ბიჭებს უბრძანა:

— დილეგში!

უტუს ხელები გაუკრეს და ბორძიკით, ძალის ძალათი გარეთ გაიყვანეს.

ოთახში მწარე ქვითინი გაისმა.

გულამოსკვნილი ტიროდა დალფინზა.

დიმიტრი არც ისე გამოუცდელი იყო, რომ ქალის ცრემლები ათასგვარი ხერხით და დაპირებით არ მოემშრალებინა და...

ასეც მოხდა.

ძალიან მალე დალფინზას მხოლოდ ფერ-მკრთალობა ეტყობოდა და თვალებში კი იმედი უციმციმებდა.

უეცრად მარცხენა თვალი მოეწკურა, თითქო შიგ ეშმაკი ჩაუდგაო.

ვინ იცის, ეს მოწკურული თვალი რა მომხიბლავ ამბებს არ პირდებოდა მის შემხედვარეს.

ამის შემდეგ დასჩემდა დალფინზას მარცხენა თვალის მოწკურვა. ჩვეულებად ექცა.

---

[1]) ენგური გაუცურავთ და დგანან კიდეზე ჯვარელები შეიყარნენ და თავიანთ ხატს ეხვეწებიან—უბედური არამ-ხუტუ ქალს ნუ წაგვართმევს... უბედური არამ-ხუტუ ჯვარში თავი არ გაიფუჭო. ეს არ დაიჯერა და გაჭედილ ენგურზე ხეს გადაახტა. საკალმახეზე რომ მივიდა, ჯვარულ ხატებმა უწია და თავი ციხეზე მიახეთქებინა. მისი ნაცარცვი იარაღი ეხლაც ჯგეგეზე ასვენია. (ჯგეგე წმინდა ადგილია, ჯგეგე—წარმართული ღვთაების სახელი).

[2]) ზოგი მეგრელი ცოლს „მუთარეს" ეძახის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარას შევჩენკო

დიდი აკლდამა

ტარას შევჩენკო

პოემა, ანუ მისტერია „დიდი აკლდამა", რომლიდანაც რამდენიმე ნაწყვეტს ქვემოდ ვათავსებთ, დაწერილია 1845 წელს. მკვლევარებს ეს პოემა შევჩენკოს საუკეთესო ნაწარმოებად მიაჩნიათ და მართლაც, „დიდი აკლდამა" შევჩენკოს შედევრთა რიცხვს ეკუთვნის.

პირველი სული

როცა ვიყავ ცოცხალი
პრისეიას მეძახდენ,
აი, აქ დავიბადე,
ამ ადგილას ვესახლე.
საწრეველოში ვსეირნობთ
ჩვენი სოფლის ბავშვები.
თვალხუჭინას გეტმანი
ურჩუს ვეთამაშები.
ხშირად ცოლი გეტმანის
დამიძახებს პატარას...
ნამცხვარი და ქიშმიში
ბევრჯერ გამომატანა.
ხელზე დამატარებდა,
ერთხელ კოცნაც მაღირსა...
როს გეტმანის ოჯახში
გამართავდენ ნადიმსა,
წამიყვანდენ, მაცმევდენ
ახალ-ახალ კაბებსა...
მაშინ თავათ გეტმანი
დამიწყებდა ალერსსა.
სუბოტოვში ვარდივით
ვიშლებოდი ლალადა.
ხალხის ტკბილმა ალერსმა
ბედნიერი გამხადა.
ავი სიტყვა არ მეთქვა
არც მაშინ და მანამდის...
ეშხიანი ვიყავი,
შავთვალა და ტანადი.
ყველას ძლიერ ვუყვარდი.
გავიზარდე, დავქალდი,
მიგზავნიდენ მაჭანკლებს,
და მეც უკვე ვქარგავდი
პირსახოცებს, — ნიშნობის
თადარიგში გართული.
მაგრამ ბედმა მიმუხთლა,
შემეყარა სალდური.
მარხვის კვირა თენდება
და წყაროზე მივდივარ.
(„წყარო უკვე დამშრალა,
მე კი ისევ ჩიტი ვარ!")
ვხედავ, მოდის გეტმანი
თავკაცების თანხლებით.
გზაზე გადავუარე
ჩემი სავსე კასრებით.
სად მიჰქროდენ ისინი —
გული მეხმო ნეტავი!
მაშინ თურმე მოსკალებს
ფიცს აძლევდა გეტმანი:
რატომ იქვე კასრები
არ გავტეხე საწყალმა!
მიველი და წყეულმა
წყალმა ყველა დაწამლა.
შევიწირე მშობლები,
ძმაც დავღუპე, ძაღლებიც...
აი, რატომ დავდივარ
ქვეყნად განაწვალები.
ვიტანჯები უზომოდ,
ლამის სული ამომხდეს.
აი, რატომ დობილო
დაწიკეტეს სამოთხე!

. . . .

მესამე სული

დავიბადე კანევში...
ჩვრებში ვიყავ გაკრული.
ფეხიც არა მქონია
მაშინ კარგად ადგმული,
როცა ეკატერინე,
ძუ—მგელი და მტარვალი —
კანევიდან სლავუტზე 1)
მიცურავდა სანდალით.
ჩვენ ქალაში ვისხედით,
ცხარე ცრემლი მდიოდა,
შეიძლება იმიტომ,
რომ საჭმელი მინდოდა;
იქნებ რამე ამტკივდა!..
მომდის ცრემლის ჩანჩქერი.
დედა ცდილობს გამართოს
და მდინარეს გაცქერის.
დამანახვა ანაზდათ
ოქროს დიდი სანდალი.
შიგნით იყო მრავალი
თავადი და სარდალი.
დედოფალიც მოსჩანდა, —
ჩვენი ქვეყნის შემმობელი.
ჩვენი თავისუფლების
მტერი დაუნდობელი.
გავუცინე დედოფალს
და მაშინვე გავთავდი...
დედაც მოკვდა. ორივეს
გვერგო ერთი საფლავი.
აი, რატომ დობილო
ვიტანჯები ფარსაგად...
და აქამდე მეზვერედ
არ მიშვებენ არსადა.
განა ძუძუმწოვარი
მიხვდება ვის უცინის!?
დედოფალი აღმოჩნდა,
ნადირივით გულცივი.
ბინდი წვება, გავფრინდეთ.
ღამე ტყეში დავრჩებით.
თუ აქ რამე მოხდება,
ჩვენც ხელათვე გავჩნდებით.
შეფრთხიალდნენ სულები
და გაფრინდენ ერთადა.
დაბინავდენ მუხაზე
ლამის გასათევადა.

. . . .

მნათობს უკვე ეძინა,
მოისვენა ჩიტებმა.
მომღერლებმაც ჩასთვლიმეს
უდარდელად თელასთან.
იქ კი უკვე წამოდგენ
მღვიმეს გასათხრელადა.
მიდიოდა ორი დღე
გათხრა განუწყვეტელი.
მესამეზე გამოჩნდა
უძველესი კედელი,
შეისვენეს. აკლდამას
მიუჩინეს გუშაგი.
შიგ არავის არ უშვებს
ბოქაული გულმავი.
თავის უფროსს აცნობა
ჩიგირინში სწრაფადა.
დრუნჩიანი მოხელე
აკლდამაში ჩაბრძანდა
„თალი უნდა გავტეხოდ,
რაღაც ასე მენიშნა",
გაჰკრეს თალი პალატის...
მთელი ხალხი შეშინდა.
ნახეს მხოლოდ ჩონჩხები...
უთავბოლოდ მიყრილებს —
თითქოს ეცინებოდათ,
რომ მზე ისევ ახილეს.

თარგმანი კონსტანტინე
ლორთქიფანიძისა.

---

1) სლავუტი — დნეპრის ეპიტეტია, ნიშნავს სახელგანთქმულს.

გორკი და შევჩენკო

რუსული ლიტერატურის კლასიკოსი **მაქსიმ გორკი** ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაინტერესებულა ტარას შევჩენკოს შემოქმედებით. 1895 წელს მაქსიმ გორკი თავისი ოჯახობით სოფელ მანუილოვკაში (ყოფ. კრემენჩუკის მაზრა) გადასახლებულა საცხოვრებლად. იქ მან გაიცნო სოფლის მასწავლებელი სიმონ სამუილენკო, რომელიც უკრაინის ლიტერატურის კარგი მცოდნე და შევჩენკოს თაყვანისმცემელი იყო. გორკიმ მისგან საჩუქრად მიიღო „კობზარის" უკრაინული ეგზემპლარი. გორკი გაუტაცნია შევჩენკოს პოეზიას, მის მაღალ შთაგონებას და ხალხურ სისადავეს. გულის მეგობარი და თანამოზიარე იცნო მაქსიმ გორკიმ ტარას შევჩენკოში. გორკი უკითხავდა „კობზარს" გლეხებს. „კობზარის" მწველი სტრიქონები რევოლუციურ ნაპერწკლებს ჰფანტავდნენ ხალხში, ხელს უწყობდნენ მის გათვითცნობიერებას. ამის შესახებ ალექსი მაქსიმესძე სწერს ეროფეენკოს—ძალიან მომწონს შევჩენკოს ლექსები და გლეხებს უკითხავო.

1900 წელს, როდესაც გორკი სათავეში ჩაუდგა გამომცემლობას „ზნანიეს", მან გადასწყვიტა, რუსულ ენაზე გამოეცა „კობზარი". თარგმნა [illegible] ივანე ბელოუსოვმა, სთარგმნა კიდეც, მაგრამ გორკიმ დაიწუნა. გორკიმ მოითხოვა მთარგმნელისაგან მეტი ოსტატობა, მეტი სიზუსტე. „კობზარის" ასეთი სახით გამოცემის უფლება არა გვაქვს არც ჩვენ და არც თქვენო, — დასძენდა გორკი. ივ. ბელოუსოვის საპასუხო ბარათიდან ვგებულობთ, რომ მას გადაუმუშავებია თარგმანი და კვლავ გორკისათვის გადაუგზავნია.

ბელოუსოვი ამ ბარათში ეხება ერთ საგულისხმო ფაქტს, რომელსაც ჩვენ აქ მოვიყვანთ. უკრაინაში ყოფნის დროს ბელოუსოვს უნახავს შევჩენკოს საფლავი. პოეტის საფლავის მახლობლად ყოფილა პატარა ქოხი „შევჩენკოს ოთახი" მაგიდით, სკამითა და „კობზარის" ერთი ეგზემპლარით. მაგიდაზე დებულა შთაბეჭდილებათა ჩასაწერი (ტურისტთათვის) წიგნაკი. როდესაც ბელოუსოვს ჩასაწერად აუღია წიგნაკი, დარაჯი შეჰვედრებია: გეთაყვა, ისეთ რამეს ნუ ჩასწერთ, რომ საპატიმროში გამგზავნონ. თურმე პოლიციის მოხელე ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე შევჩენკოს საფლავს, ათვალიერებდა შთაბეჭდილებათა წიგნაკს და თუ რამე ჭკუაში არ დაუჯდებოდა, მელნით შლიდა, დარაჯს კი ციხეში გზავნიდა: რატომ არ უყურებ, რასა სწერენო. საცოდავ დარაჯს წერა-კითხვაც კი არა სცოდნია. ესეც თავისებური იეზუიტური მეთოდი იყო ცენზურისა.

რამდენიმე ხნის შემდეგ (1907 წელს) „ზნანიემ" გამოსცა „კობზარის" რუსული თარგმანი. „კობზარის" გამოცემა რუსულ ენაზე გორკის თაოსნობისა და დაუღალავი ენერგიის ნაყოფი იყო.

ტარას შევჩენკოს პოეზიის ღრმა განმარტება გორკიმ მოგვცა თავის ლექციებში ლიტერატურის ისტორიის შესახებ, რომლებსაც იგი უკითხავდა კუნძულ კაპრის პარტიული სკოლის მსმენელებს 1909 წ. ამ ლექციებში მოცემულია ლიტერატურის საუცხოვო ანალიზი. ამ ლექციებში თავისუფლებისათვის მებრძოლ მწერალთა დიდებულ პლეადაში გორკი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს უკრაინის პოეზიის სახელსა და დიდებას — ტარას შევჩენკოს.

გორკი განსაკუთრებით გამოჰყოფს შევჩენკოს პოეზიის ხალხურ ხასიათს. „შევჩენკო პირველი სახალხო პოეტიაო", — ამბობს გორკი. გორკისათვის სახალხო მწერალი ის არის, ვინც გამოხატავს თავისი დროის უმაღლეს იდეურ მოთხოვნილებას, უმაღლეს იდეურ ჩარისხს, ვინც ახლოა ეპოქასთან, მასებთან, ვისაც იცნობს ხალხი, ვინც უყვარს ხალხს. გორკიმ ტარას შევჩენკო უყოყმანოდ ჩარიცხა სახალხო მწერალთა რაზმში. იგი შევჩენკოს პირველ სახალხო პოეტად აღიარებს. გორკი ტარას შევჩენკოს გვერდში უყენებს რუსეთის ლიტერატურის მზესა და დიდებას — ალექსანდრე პუშკინს. „პუშკინი, შევჩენკო, მიცკევიჩი განსაკუთრებული სილამაზით და სისავსით გამოხატავენ ხალხის სულს" (გორკის სტატია „რევოლუციური ინტელიგენციისა და ნაციონალური საკითხის შესახებ").

გორკი აღნიშნავს ტარას შევჩენკოს პოეზიის ერთ ნიშნეულ მხარესაც: ობიექტური და სუბიექტური მომენტის მთლიანობას.

გორკი სწერდა: „შევჩენკო ღირსია მაღალი შეფასებისა, როგორც პირველი და ნამდვილად სახალხო პოეტი, რომელიც სუბიექტური დამატებებით არ ამახინჯებდა ხალხის გულისთქმასა და გრძნობებს. მის ჩივილში პირად ბედზე მოისმის მთელი უკრაინის ჩივილი, მის მოგონებაში კაზაკურ თავისუფლებაზე იგრძნობთ მთელი ხალხის მოგონებას".

გორკის ინტერესი შევჩენკოს პოეზიისადმი არასოდეს არ შენელებულა. ნიკოლოზ პირველის მიერ განაწამებ და დევნილ დიდ ადამიანთა სიაში რილეევის, ოდოევსკის, ბესტუჟევის, პოლეჟაევის, ლერმონტოვის, გერცენის, შჩედრინის გვერდით გორკი ტარას შევჩენკოსაც იხსენიებს. დიდი სიყვარული შევჩენკოსადმი გორკიმ თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე შეინარჩუნა. როგორი აღფრთოვანებით მიეგება იგი ტარას შევჩენკოს ძეგლის გახსნას ქალაქ ხარკოვში! 1935 წელს უკრაინის მადლიერმა ხალხმა მონუმენტური ძეგლი აუგო თავის სახელოვან კობზარს. გორკიმ შემდეგი დეპეშით მიმართა უკრაინის მშრომელთ: „გულითადად მივესალმები უკრაინის ხალხს იმ დღეს, როდესაც იგი ღირსეულად უკვდავჰყოფს თავისი შვილებისა და შვილი-შვილების ხსოვნაში ცარიზმის მიერ განაწამებ, ნამდვილად სახალხო დიდ პოეტ — დემოკრატის მშვენიერ სახეს".

გ. ლომიძე



ტარას შევჩენკო ნახ. ს. კეცხოველისა

ფიქრნო ჩემნო

ტარას შევჩენკო

ფიქრნო ჩემნო, გეძებთ, გიხმობთ,
თქვენ ხომ ერთნი მართობთ...,
გთხოვთ ამ ბნელ დროს ჩემთან იყოთ,
ნუ დამტოვებთ მარტო.
გადმოფრინდით ფრთა ფარფატნო,
ჩემო მტრედნო აქეთ —
უკან დარჩეს დნეპრი ფართო,
ტრამალები ნახეთ.
ჩაუქროლეთ ველზე ღარიბ,
შიშველ ყირგიზებსა.
ლაღნი, მაინც სიმწუხარით
რომ შესთხოვენ ღმერთსა.
წყნარ საუბრად მესმის დაღლილს
თქვენი ფრთების ფეთქვა,
მო, ჩაგიკრათ გულში ბალღნი,
და ვიტირო თქვენთან.

ორსკის ციხე 1847 წ.

თარგმანი
დავით გაჩეჩილაძისა.

და სიზმარში მოვლენ ბავშვნი

ტარას შევჩენკო

ქოხს წამოვდგამ პაწაწინას,
ირგვლივ ედემს გავაშენებ.
იქ მექნება მყუდრო ბინა,
ვისეირნებ, დავისვენებ.
როს შენთვის ხარ მარტო ბაღში,
თვალს მოგპარავს ძილი წყნარი,
და სიზმარში მოვლენ ბავშვნი,
დიდაც მოვა მოღიმარი;
დღე, უკუნს რომ მიეფარა,
გათენდება თითქოს ახლად...
ო, სიზმარი არ მსურს, არა, —
იქ ხომ შენაც დაგინახავ...
ჩემს პატარა სამოთხეში,
შემოძვრები ჩუმად ისევ:
ობოლ ედემს გახვევ ცეცხლში,
მოჰკლავ გულის სიხალისეს.

ს. პეტერბურგი 27 სექტემბერი
1860 წ.

თარგმნა დავით გაჩეჩილაძემ

რუსთაველი შევჩენკოს ზეიმზე

გაბრ. ჯაბუშანური

არის ზეიმი, იკრიბება ხალხი რჩეული,
ვინც შავ წარსულში მართალ აზრის იყო დარაჯი.
აქ ყოველ სტუმარს ეგებება, თვითონ ტარასი —
მიზეზი ლხინის, — მასპინძელი ღიმმორეული.

უცებ გაჩნდება ცხენოსანი — ალვად რხეული,
შევჩენკო შორას ეგებება შორსვე, — შარაზე,
მოდის პუშკინიც — ხელს მოავლებს ცხენს ავშარაზე
და ხარობს ყველა — გულზე ნათელშემოხვეული.

ერთმანეთს ძმურად ეხვევიან ბუმბერაზები
და მათ ბაგეებს ოქრო სცვივა დაუფასები
მოიტანს შარბათს კატერინა — მთვარის სახება.
მზე — უკრაინის სადღეგრძელოს სვამს რუსთაველი.

ნატრობენ სამნი: შეგვეძლოსო კალმის აღება, —
ვთქვათო ბელადზე, რომ აელერდეს ირგვლივ მთა-ველი.

უკრაინის დიდი მომღერალი

კალე ბობოხიძე

სევდა სამშობლოზე აღარ ასვენებდა
კობზარს დარდით ჰქონდა გული დადაგული;
მომღერალი ცრემლით ჩონგურს ასველებდა
და ისმოდა ჰანგი გაიდამაკური.

ლექსს საკუთარ სისხლით და ცრემლებით სწერდა
ენთებოდა ცეცხლად დიდი მოსიმღერე,
აღარ ასვენებდა უკრაინის სევდა
დაჰფენოდა ნისლი ბინდით მოსილ ველებს.

და ჰკითხავდა ნაღვლით: — ვარდო დაუმჭკნარო
კატერინავ, ყელი ვისთვის მოიღერე,
ვინ დაგიშრო საწყალს, არსებობის წყარო
რად გდიოდა თვალთაგან შენ ცრემლების ღელე?!

მაგრამ ძველი სევდა გაჰქრა ხანგასული
გაზაფხული დადგა, გაგვიბრწყინდა სახე
და მიზანი ჩვენი გულში დასახული
დიდ სტალინის მბრწყინავ ეპოქაში ვნახეთ!

ტარას გიხაროდეს, უკრაინა ფრთას შლის,
ხალხთა მეგობრობა ჩვენს ქვეყანას შვენის
და სამშობლო მხარეს — დიდ საბჭოთა კავშირს
ტკბილ ნექტარით ავსებს სიმღერები შენი!...

ტარას შევჩენკოს შემოქმედება

ვ. წულუკიძე

უკრაინის დიდ პოეტს—ტარას შევჩენკოს წილად ხვდა გამხდარიყო თვითმპყრობელურ ბიუროკრატიული წყობილების მიერ ჩაგრული ერებისა და მშრომელი მასების სულისკვეთების მესაიდუმლე, მათი გრძნობებისა და მისწრაფებების გამომხატველი.

სტიქიური გამოსვლები, აჯანყებები, რომლებითაც ხშირად უპასუხებდა ამ სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას ყველა ერის გლეხობა, არ იყო განათებული პოლიტიკური შეგნების შუქით.

პირველი უკრაინელი პოეტი, რომელიც დამონებული ერის ჩაგრული მასების წრიდან გამოვიდა, რომელმაც უშუალოდ განიცადა კლასობრივი და ნაციონალური მონობის მთელი საშინელება, პოეტი, რომელიც ჩასწვდა გლეხური რევოლუციური მოძრაობის შინაარსს, რომელმაც შეიცნო და გამოხატა გლეხობის სოციალური და ეროვნული მისწრაფებანი, ტარას შევჩენკო იყო.

შევჩენკოს პოეზია არის რევოლუციური გლეხობის მიერ წარმოთქმული პირველი სიტყვა, ბატონყმური წყობილების, თვითმპყრობელობის, ხალხთა ამ საპყრობილის დამხობისაკენ მომხმობი, სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის საბრძოლველად მოწოდებული მგზნებარე სიტყვა. შევჩენკომდე უკრაინელ ხალხს მშრომელთა წრიდან არ მოუცია პოეტი, რომელსაც თავათ, უშუალოდ განეცადოს და გამოეხატოს ხალხის ტანჯვა, რომელსაც მონობიდან თავდაღწევის ერთად-ერთ გზად ბრძოლა დაესახოს. დობროლიუბოვის ცნობილი ფრაზა, რომ შევჩენკო არის სავსებით ხალხური პოეტი, ისეთი, როგორსაც ჩვენ შორის ვერ დავასახელებთ, შეიძლებოდა თქმულიყო არა მარტო რუსული ლიტერატურის, არამედ ყველა ხალხის იმდროინდელი მწერლობის სახელით. იმ დროს მეფის რუსეთში არც ერთი ერის მწერლობას არა ჰყოლია შევჩენკოს მაგვარი ხალხური პოეტი, ე. ი. ხალხის გრძნობების და მისწრაფებების ღრმად შემცნობი და გამომხატველი პოეტი, პოეტი ასე გასაგები, მისწვდომი და საყვარელი მშრომელთა ფართო ფენებისათვის.

გამოხატა რა უკრაინელი მშრომელი ადამიანის მძიმე ხვედრი ორგვარი უღლის ქვეშ, მისი აუტანელი ჩაგვრა, უუფლებობა, სიღატაკე, პანებისა და თვითმპყრობელურ პოლიციის ძალადობა მასზე, დევნა და შევიწროება იმ ენისა, რომელზედაც უკრაინელი მშრომელი მეტყველებდა, შევჩენკომ გვიჩვენა მშრომელი ადამიანის აუტანელი მდგომარეობა, ღრმად გვაგრძნობინა ის ვითარება, რომელიც წარმოშობდა გლეხთა სტიქიურ გამოსვლებს, გლეხთა აჯანყებებს.

ამგვარად, ფორმით ღრმად ნაციონალური პოეზია შევჩენკოსი შინაარსით წარმოადგენს გლეხურ აჯანყებათა პოეზიას. მაგრამ ვიდრე შევჩენკოს შემოქმედება ასეთ სოციალურ-პოლიტიკურ სიმახვილეს მიაღწევდა, მან გაიარა ხანგრძლივი გზა განვითარებისა. შევჩენკოს შემოქმედება პირველ პერიოდში, რომელიც 1838—1843 წლებს მოიცავს, არ არის ისე ღრმად სოციალური და რევოლუციური, როგორც მეორე პერიოდში. ამ წლებში დაწერილი ლექსები პოემები, რომლებიც დიდი ემოციური მღელვარებით და მხატვრული სიმკვეთრით იპყრობენ მკითხველს, თემატიკით და იდეური მიმართულებით განაგრძობენ უკრაინული ლიტერატურის ტრადიციულ გზას. რომანტიული ოცნება უკრაინის წარსულზე, უკრაინის ხალხის გმირების განდიდება არის ერთ-ერთი მთავარი მოტივი ამ ლექსებისა და პოემებისა.

პირველ პერიოდში შევჩენკო ამდიდრებს უკრაინულ პოეზიას შესანიშნავი ლირიკული ლექსებით, რომანსებით, ბალადებით. ამასთან პოეტი ჰქმნის დიდ ტილოებსაც. პირველი მისი პოემა „კატერინა" სვამს თავისუფალი სიყვარულის პრობლემას, რომელსაც წინ დაუძლეველ დაბრკოლებად ელობება ბატონყმური საზოგადოება, ეკლესიის წყევლა და შეჩვენება. ამ პოემაში შევჩენკო პირველად გამოჩნდა, როგორც რევოლუციონერი დემოკრატი. როგორც ხალხის მესაიდუმლე მგოსანი. პოეტის მთელი თანაგრძნობა კატერინას მხარეზეა, იმ გლეხი ქალიშვილის მხარეზე, რომელიც წინ აღუდგა, არ დაემორჩილა თავის მშობლებს, არ გაუგონა თავის მახლობლებს, აჰყვა თავის გულისთქმას, შეიყვარა ის, ვისკენაც მისი გული მიიწევდა, მაგრამ უცხოელმა მიჯნურმა შეურაცყო მისი გრძნობა, მისი ფაქიზი სიყვარული, მიატოვა იგი, ყველასაგან უარყოფილი, მიჯნურისაგან მიტოვებული კატერინა ბედის ანაბარად სტოვებს ულრან ტყეში თავის პირმშოს და ეთხოვება წუთისოფელს — თავს იკლავს. ამ თემას შევჩენკო არა ერთხელ უბრუნდება შემდეგაც თავის ლექსებსა და პოემებში.

შევჩენკოს შემოქმედების პირველ პერიოდს ეკუთვნის აგრეთვე ნაწარმოები, სადაც იგი უმღერის თავისუფალ კაზაკობას, თავისუფლებისა და სამშობლოსათვის წარმოებულ ბრძოლებს.

ამ ხანებში დაწერილი, ყველაზე დიდი ნაწარმოები — პოემა „გაიდამაკები" მკითხველს იტაცებს მხატვრული სიცხოველით და გამოსახვითი ხერხების სიუხვით. პოემა განირჩევა მრავალხმიანობით, მუსიკალობით, რიტმული და ინტონაციური სიმდიდრით, პოემაში შიგა და შიგ თხრობას სცვლის დიალოგი, დრამატურგიული ეპიზოდები. „გაიდამაკების" ცენტრალური ფიგურა ყველასაგან დევნილი და შეურაცყოფილი მოჯამაგირე იარემაა. იგი იზრდება ხალხური მოძრაობის ზრდასთან ერთად და ხდება პოემის ნამდვილ გმირად, რომელიც შურს იძიებს იმ ჩაგვრისათვისაც, რომელიც მან პირადად განიცადა, იმ შეურაცყოფისათვისაც. რომელიც მის სატრფოს ოქსანას მიაყენეს და ამ ქალის მამისთვისაც, რომელიც აწამეს, და მოჰკლეს პოლონელმა კონფედერატებმა. პოემა „გაიდამაკები" ხალხის განუსაზღვრელი რისხვის გამოხატვაა. შლის რა მკითხველის წინაშე ხალხის მღელვარებისა და აჯანყების სურათებს, შევჩენკო ხატავს ამ მოძრაობის მეთაურების, ატამანების გონტასა და ძელეზნიაკის პორტრეტებს, რომელთაც რიტორიული და პათეტიური გადაჭარბების იერი გადაჰკრავთ.

სინამდვილესთან დაახლოებამ, რევოლუციონერთა წრეში ტრიალმა პოეტი წარსულის იდეალიზაციიდან თანამედროვეობისაკენ, პოლიტიკურ-რევოლუციური ბრძოლის ამოცანებისაკენ შემოაბრუნა. პოეტი პოულობს თავის ნამდვილ მტერს, მშრომელი ხალხის მტერს, რომლისაკენაც იგი მიმართავს თავის ბასრს და რისხვიან კალამს, ერთხელვე მიზანში ამოღებულ მტერთან ბრძოლა პოეტს არ შეუწყვეტია სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. მჩაგვრელებისადმი სიძულილი გადაიქცა პოეტის სტიქიად და ამ გრძნობას მისთვის არ უღალატია ბოლომდე. პოეტის გონებას არ შორდება სახე იმ ტირანისა, რომელიც ხალხთა ჩაგვრის განხორციელება და პირველი მჩაგვრელი იყო. ეს გახლდათ ნიკოლოზ პირველი, რომელსაც პოეტი ძნელად დასავიწყარს უწოდებს, პოეტს წლობით არ შორდება აზრი ამ ტირანის განადგურებისა. იგი მოელის იმ დროს, როცა ხალხი სამაგიეროს მიუზღავს მეფეს დაუსრულებელი ბოროტმოქმედებისა და სისხლისმოყვარეობისათვის. ეს მისწრაფება მან გამოხატა ლექსში „იუროდივი", სადაც პოეტი დაუნდობლად უსწორდება როგორც ზეციერ, ისე მიწიერ მეუფეს. პოეტისათვის თანაბრად საზიზღარი და საძულველია ნიკოლოზ პირველიც და მისი წინაპრებიც.

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ იგი თავის მეგობრის მოქანდაკის მეკენიშის სახელოსნოში, ხედავს, რომ მეკენიში აქანდაკებს ეკატერინე მეორის ფიგურას, და მწარე ფიქრებს ეძლევა. აგონდება, რომ ეკატერინემ რუსი თავად-აზნაურების უფლებებით აღჭურვა კაზაკთა „სტარშინები", რომ მან უკრაინელი გლეხები ყმებად აქცია და თავის საყვარლებს მონებად დაუნაწილა, წყევლა და კრულვა ავსებს მის ლექსს, მიძღვნილს ეკატერინესადმი.

1845 წელს, როცა შევჩენკო დაუახლოვდა და დაუმეგობრდა პეტრაშევსკის ჯგუფის აქტიურ მონაწილეებს, უფრო ნათლად და მკვეთრად გამოირკვა მისი იდეური მიმართულება. ამ ხანებში იგი სწერს რისხვითა და სევდით აღსავსე სატირას — „სიზმარს", რომელიც შემდეგ ხელში ჩაუვარდათ ჟანდარმებს და პოეტის გადასახლების საბაბად გადაიქცა. თუ პირველი პერიოდის ლექსებში სჭარბობდნენ პატრიოტული მოტივები, ამ სატირულ პოემაში პოეტი ლაპარაკობს არა მარტო თავის სამშობლო კუთხის, არამედ თავისი მშობლიური კლასის სახელითაც, მშრომელნი ვერ ეღირსებიან ხსნას, ვიდრე შეურყეველია მეფის ტახტი. მათ არ შეიბრალებს არც ცისა და არც მიწის მეუფე. პოემა „სიზმარში" მკითხველი ხედავს სულ სხვა უკრაინას, რომელიც არაჰგავს იმ თავისუფალ ნეტარ ქვეყანას, რომელზედაც შევჩენკო მუდამ ოცნებობდა. ჩაგრული და შეურაცყოფილი მშრომელების მწარე ბედი რისხვის ცეცხლით ანთებს პოეტის გულს, მგზნებარე მძულვარებით ავსებს ამ პოემის სტრიქონებს. პოეტის რელიგიურს სასოებას ამ ნაწარმოებში ჩრდილავს ღვთის მგმობელობა. შევჩენკო მიმართავს ზეცას, მაგრამ ეს მიმართვა გაისმის არა ლოცვად, არამედ წყევლად და შეჩვენებად.

პეტერბურგის თეთრი ნათელი ღამეა.

შევჩენკო დგას თუჯის მხედრის წინ. ფალკონეტის შესანიშნავი ქანდაკება მასში იწვევს მწარე ფიქრს და უძლეველ სევდას. პოეტს აგონდება, რომ ეს დიდი ქალაქი აგებულია გლეხების ძვლებზე, იმ უკრაინელ მშრომელთა ძვლებზე, რომლებიც მოაშორეს თავიანთ მშობლიურ ველებს და მორეკეს აქ გაუვალი ჭაობების ამოსაშრობად. ღამის მდუმარებაში პოეტს მოესმის დაღუპულ კაზაკთა მწარე ჩივილი. ამ პოემაში შევჩენკომ სთქვა დიდი ისტორიული სიმართლე, კალმის ერთი მოსმით მან წარმოგვისახა თუ რა საშინელი იყო გლეხობის ექსპლოატაცია ბატონყმურ - მემამულური წყობილების პირობებში.

თუ სატირული პოემის „სიზმრის" მახვილი მიმართულია ტირანის წინაამდეგ, შევჩენკოს მეორე პოემას „ერეტიკოსს" მიზანში ამ ტირანის მსახური ოფიციალური ეკლესია ჰყავს ამოღებული. შევჩენკო არ ყოფილა თანმიმდევარი ათეისტი, მაგრამ ოფიციალური ეკლესიისადმი, მართლმადიდებელი მღვდლებისა და კათოლიკე აბატებისადმი სიძულვილში იგი მუდამ თანმიმდევარი და უცვლელი იყო. მათი ცბიერებისა და მზაკვრობის მხილება არის ბევრი მისი პროზაული და პოეტური ნაწარმოების ძირითადი თემა. დიდის ექსპრესიით და ძლიერებით დაწერილია პოემის „ერეტიკოსის" ის სტრიქონები, რომელიც მიმართულია რომის პაპისადმი.

მაგრამ შევჩენკოს პოლიტიკური თვითშეგნების მწვერვალს წარმოადგენს პოემა „კავკასი". ამ ნაწარმოებში იგი გვევლინება არა მარტო უკრაინის ხალხის, არამედ მეფის იმპერიის უღელქვეშ მგმინავ პატარა ჩაგრული ერების გულწრფელ მოსარჩლედ და ქომაგად. ამ პოემაში შევჩენკო შეგნებულად გვერდს უხვევს იმ ტრადიციულ კავკასიურ მოტივებს, რომელთაც ვხვდებით პუშკინის, ლერმონტოვის, მარლინსკის და სხვა თაობის ლექსებსა, პოემებსა და პროზაულ ნაწარმოებებში. „კავკასი" მიძღვნილია პოეტის მეგობრის დე-ბალმენისადმი, რომელიც ჩაჩნებთან ბრძოლაში დაიღუპა. შევჩენკო წყევლა-კრულვას როდი უგზავნის მთიელებს, რომელთაც მოჰკლეს მისი მეგობარი. განა მათ უდევთ ბრალი ბალმენის მკვლელობაში? ბალმენი მოჰკლა თვითმპყრობელობამ, რომელსაც თავის კლანჭებში სურს მოაქციოს კავკასიის მთიელთა თავისუფალი აულები. პოეტი მიმართავს მთიელებს მოწოდებით, იბრძოლონ ბოლომდე, იბრძოლონ იმ შეგნებით, რომ მათ მხარეზეა „სიმართლე, დიდება და წმინდა თავისუფლება" მშობლიური უკრაინის გამოცდილებით, პოეტმა იცის, თუ რა მწარე ბედი მოელის დაპყრობილ კავკასს. იგი უწინასწარმეტყველებს მთიელებს, რომ შეიარაღებულ ძალადობას მთის აულებში მოჰყვება ეკლესიის ძალადობა და ბატონყმური წყობილება. „კავკას"-ში შევჩენკო პირველად სვამს საკითხს დაპყრობილ და დამონებულ ხალხთა გაერთიანების შესახებ. ამ ხალხთა საერთო მტერი იმპერიაა, ის საერთო საპყრობილე, სადაც „მოლდავიიდან ფინეთამდე ყველა ენა სდუმს". პოემა „კავკასით" შევჩენკო გახდა ჩაგრულ ერთა გაერთიანების მომღერალი და მქადაგებელი.

სამშობლოში მოგზაურობამ, რადიკალურ ინტელიგენციასთან, რევოლუციონერებთან შეხვედრამ უფრო მეტად აღაგზნო პოეტის რევოლუციური სულისკვეთება. სწორედ უკრაინაში დაბრუნებისას დასწერა მან იდეურად ყველაზე ძლიერი რევოლუციურ-პოლიტიკური ლექსები. ამასთან უკრაინაში ყოფნის დროს პოეტმა უფრო მეტის სიძლიერით განიცადა მარტოობა, წარმავლობა და ეფემერობა იმ კავშირისა, რომელიც მას ლიბერალურ ინტელიგენციასთან ჰქონდა. იგი სწერს მთელს ციკლს ლექსებისას, რომელნიც გამსჭვალულნი არიან ღრმა ლირიზმით, სევდისა და მარტოობის ძლიერი გრძნობით. პოეტს აწუხებს იმის შეგნება, რომ მისი ხმა ვერ სწვდება მშრომელი მასების ყურს.

შევჩენკოს ეს განწყობილება უფრო ძლიერდება პოეტის დაპატიმრების შემდეგ. საკანში ყოფნის დროს პოეტის თვალწინ გაივლის მის მიერ განვლილი გზა მებრძოლისა და შემოქმედისა, და აქ დაწერილი ლექსები იმეორებენ იმ ძირითად მოტივებს, რომლებიც ისმის მის საუკეთესო ლირიკულ ლექსებში. ლექსში «За байраком, байрак». პოეტი კვლავ გვიჩვენებს თავის ქვეყნის წარსულს, როცა გეტმანები საწყალი ხალხით ვაჭრობდნენ. საპატიმროდან გაგზავნილ გამოსათხოვარ სიტყვაში პოეტი აფიცებს თავის თანამებრძოლებს, არ დაეცნენ სულით და სიმართლის სიტყვა მიიტანონ სამშობლოს მთებსა და ველებში.

საპატიმროში მას არ აფიქრებს თავისი პირადი ბედი, მას არ აღელვებს საკითხი, თუ რა განაჩენს გამოუტანს მას მეფის სამსჯავრო, არც ის, დარჩება თუ არა ხალხში ხსოვნა მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. მას აღელვებს ბედი თავისი ხალხისა, თავისი სამშობლოსი, მათ უძღვნის თავის უკანასკნელ ლექსს, რომელიც წარმოადგენს მოწოდებას შემდეგი ბრძოლებისათვის.

შევჩენკოს არა ერთ ლექსში უთქვამს, რომ ჩემი მიზანი იყო, თითოეული ჩემი ლექსი გამსჭვალული ყოფილიყო დიდი მოქალაქეობრივი შეგნებით. ამ მიზანს მან მიაღწია. პოეტმა მთელი თავისი ნიჭი და შემოქმედება მოახმარა რევოლუციურ ბრძოლას ხალხის კეთილდღეობისათვის. ამიტომ მთელი მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა ათეული წლების მანძილზე იყო რევოლუციური ბრძოლის ბასრი იარაღი. დღესაც მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა არის ხალხთა ძმობის განმტკიცების დიდი ფაქტორი.

მზადება ტარას შევჩენკოს იუბილესათვის

„კობზარი“ ქართულად

უკრაინის უდიდესი პოეტის ტარას შევჩენკოს დაბადებიდან 125 წლისთავის შესრულებისთვის ქართველი საბჭოთა მწერლების საზოგადოებრიობა კარგა ხანია ემზადებოდა. პირველ რიგში მთელი მუშაობა მიმართული იყო შევჩენკოს ნაწერების ქართულ ენაზე თარგმნისაკენ. საუკეთესო ქართველ საბჭოთა პოეტების მიერ თარგმნილ იქნა ტ. შევჩენკოს ლექსებისა და პოემების წიგნი „კობზარი“.

სახელგამმა ახლახან გამოსცა აღნიშნული წიგნი. იგი უკრაინელი და ქართველი ხალხის მეგობრობის საუკეთესო ძეგლია. ეს წიგნი ქართველ მკითხველს საშუალებას აძლევს ახლო გაიცნოს უდიდესი პოეტის, ტარას შევჩენკოს შემოქმედება.

წიგნში მოთავსებულია ს. ჩიქოვანის, ხ. ვარდოშვილის, მ. პატარიძის, დ. გაჩეჩილაძის, კ. ლორთქიფანიძის, კ. ნადირაძის, ი. აბაშიძის, ი. მოსაშვილის, იასამანის, ვ. გაფრინდაშვილის, ა. აბაშელის, ვ. გორგაძის, შ. აფხაიძის, ა. ქუთათელის, გრ. ცეცხლაძის და კ. ბობოხიძის თარგმანები.

თარგმნილია პოემები „შეშლილი“, „კატერინა“, „ვერხვი“, „ტარასის ღამე“, „გაიდამაკები“, „ჰოტი“, „სიზმარი“, „დიდი აკლდამა“, „გამდელი“, „კავკასი“, „ცოცხლებსა და მკვდრებს“, „მეფეები“ „მოსკალის წყარო“, „საული“ და 128 ლექსი.

წიგნს წამძღვარებული აქვს ტ. შევჩენკოს ბიოგრაფია და ვ. ევნატაშვილის წერილი პოეტის შემოქმედების შესახებ. წიგნს დართული აქვს შენიშვნები შევჩენკოს ცალკეულ ნაწარმოებთა შესახებ. წიგნში ჩართულია ცნობილი უკრაინელი მხატვრის კასიანის მიერ დახატული ტარას შევჩენკოს პორტრეტი.

წიგნს რედაქტორობდნენ შ. რადიანი და ს. ჩიქოვანი.

წიგნი გაფორმებულია მხატვარ ნ. ჩერნიშკოვის მიერ. იგი ლამაზად არის გამოცემული, შეიცავს 430 გვერდს და ღირს 20 მანეთად.

ტარას შევჩენკოს პოემები

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობამ ცალკე წიგნად გამოსცა ტარას შევჩენკოს შემდეგი პოემები: „კატერინა“ (თარგმ. ს. ჩიქოვანისა), „ვერხვი“ (თარგმ. კ. ლორთქიფანიძისა), „გამალია“ (თარგმ. ი. მოსაშვილისა), „სიზმარი“ (თარგმ. დ. გაჩეჩილაძისა), „კავკასი“ (თარგმ. კ. ლორთქიფანიძისა) და „მოსკალის წყარო“ (თარგმ. ი. აბაშიძისა).

წიგნს წამძღვარებული აქვს ალ. სულავას წერილი ტარას შევჩენკოს ცხოვრებასა და შემოქმედებაზე და დართული აქვს ტარას შევჩენკოს პორტრეტი, დახატული მხატვარ ა. ჩხაიძის მიერ. წიგნი გაფორმებულია მხატვარ ვ. ავალიანის მიერ, შეიცავს 96 გვერდს და ღირს 7 მანეთად.

წითელი არმიის სახლში

ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის წითელი არმიის სახლმა დაიწყო მუშაობა ტარას შევჩენკოს იუბილეს ჩასატარებლად.

1 მარტს წითელი არმიის სახლში მოეწყო შევჩენკოს შემოქმედებისადმი მიძღვნილი მხატვრული დილა ორ განყოფილებად. პირველ განყოფილებაში მოსმენილ იქნა ანანენკოს მოხსენება: „ტარას შევჩენკოს ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ“. მეორე განყოფილებაში გამოვიდნენ წითელი არმიის სახლის მიერ სპეციალურად მოწვეული უკრაინის მხატვრული თეატრის მსახიობები — დეკლამაციით, მუსიკალური ნომრებით და უკრაინული სიმღერებით.

6 მარტს იმავე სახლში გაიმართება დიდი საზეიმო-საიუბილეო საღამო-წარმოდგენა. პირველი ნაწილის პირველ განყოფილებაში მოსმენილი იქნება მოხსენებები ტ. შევჩენკოს ცხოვრებაზე, შემოქმედებაზე, მოღვაწეობასა და ეპოქაზე. მეორე განყოფილება მთლიანად დაეთმობა წარმოდგენას — „ტარას შევჩენკო“ (ტ. შევჩენკოს ნაწარმოებთა დეკლამაცია, მუსიკა, ინსცენირება, უკრაინული ხალხური სიმღერები, (ცეკვა და პოეზია). მეორე ნაწილს სდგამს უკრაინის სამხატვრო თეატრის მსახიობთა მოწვეული ჯგუფი.

წითელი არმიის სახლის ბიბლიოთეკა აწყობს ტ. შევჩენკოსადმი მიძღვნილ გამოფენას. მებრძოლთათვის გამოცემული იქნება ტ. შევჩენკოს სამახსოვროდ წიგნაკი, მისი მოკლე ბიოგრაფია ბიბლიოგრაფიით, რამდენიმე რჩეული ლექსით და პორტრეტით.

ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილებში

ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ყველა ნაწილში ტარას შევჩენკოს იუბილესთან დაკავშირებით მოეწყობა მოხსენებები ტ. შევჩენკოს ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ნაწილების ლიტერატურული წრეების გაფართოვებულ სხდომებზე მოეწყობა მის ნაწარმოებთა კითხვა და გარჩევა. შეძლებისდაგვარად ნაწილების ბიბლიოთეკები მოაწყობენ ტ. შევჩენკოსადმი მიძღვნილ გამოფენებს. ყოველ ნაწილში მოეწყობა საზეიმო საღამო: მოხსენება და კონცერტი მოწყობილი იქნება წითელარმიელთა თვითშემოქმედი წრეების ძალებით.

აფხაზეთის მწერალთა კავშირში

აფხაზეთის საბჭოთა მწერლების კავშირმა ჩამოაყალიბა ლიტერატურულ-მხატვრული ბრიგადა, რომელშიაც შედიან როგორც მწერლები, ისე მსახიობები. ბრიგადის მიზანია— გააცნოს სოხუმის მშრომელ მოსახლეობას უკრაინის უდიდესი მწერლის ტარას შევჩენკოს ცხოვრება და შემოქმედება. ბრიგადა იანვრის ბოლო რიცხვიდან შეუდგა მოხსენებებისა და ლიტერატურული საღამოების გამართვას წარმოება-დაწესებულებებში.

ახალი წიგნები

„პუშკინი საქართველოში“

პუშკინის საიუბილეო კომიტეტის რედაქციით გამოვიდა წერილებისა და მასალების კრებული: „პუშკინი საქართველოში“. ეს მეტად საინტერესო კრებული მკითხველთა ფართო მასებს გააცნობს საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ სახეს პუშკინის ჩამოსვლის დროს. იგი ნათელ წარმოდგენას იძლევა, თუ რა გავლენა მოახდინა ამ გენიალური პოეტის შემოქმედებამ ქართულ პოეზიაზე და როგორ გამოეხმაურა ახლა ქართველი ხალხი პუშკინის იუბილეს.

კრებულში დაბეჭდილია ამხ. ფილიპე მახარაძის წერილი „საქართველო მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში“, გ. ლეონიძის — „რუსეთის კულტურის გავლენა ქართულ ცხოვრებაზე საქართველოს შეერთების წინ“, ი. ენიკოლოფოვის — „პუშკინი საქართველოში“, ა. პუშკინის—„არზრუმში გამგზავრება 1829 წლის ლაშქრობის დროს“ (ნაწყვეტი), ი. ე-ს—„თანამედროვეთა მოგონებანი პუშკინის საქართველოში ყოფნაზე“, გ. ლეონიძის — „ა. პუშკინი და ქართული სიმღერა“, ი. გრიშაშვილის—„პუშკინის ძეგლის ისტორიისათვის“, ი. გრიშაშვილის—„პუშკინის პირველი მთარგმნელები“, პროფ. კ. დონდუასი—„პუშკინი ქართულ ლიტერატურაში“, პროფ. ს. დანელიას—„პუშკინის თხზულებების ქართველი მთარგმნელები ჩვენს დროში“, პროფ. დ. არაყიშვილის—„ა. პუშკინი ქართულ მუსიკაში“, ლ. ასათიანის—„პუშკინის მთარგმნელი პოეტი მიხეილ თუმანიშვილი“, მ თ-ს—„პუშკინი მიხეილ თუმანიშვილის შემოქმედებაში“, ი. ბალახაშვილის—„პუშკინი და საქართველო“, ვ. შადურისა და ა. ყალიაშვილის—„ყაზბეგის ბუნება პუშკინის შემოქმედებაში“, გ. ლეონიძის—„საქართველოში პუშკინის ყოფნის გამო“.

ცალკე გამოყოფილია ქართველი პოეტების ლექსები პუშკინზე. ამ განყოფილებაში მოთავსებულია ი. გრიშაშვილის, კონსტანტინე ჭიჭინაძის, ვ. გაფრინდაშვილის, კ. ნადირაძისა და ხ. ვარდოშვილის ლექსები. წიგნში დაბეჭდილია აგრეთვე ქრონიკა „პუშკინის დღეები საქართველოში“.

კრებულს დართული აქვს ი. გრიშაშვილის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფია პუშკინის ნაწარმოებთა ქართულ ენაზე ასი წლის განმავლობაში.

კრებულში მოთავსებულია ოცი სურათი.

წიგნი გამოცემულია „ფედერაციის“ მიერ, შეიცავს 234 გვერდს და ღირს 8 მან. და 70 კაპ.

ვაჟა-ფშაველას მოთხრობები

ჩვენი კლასიკური მწერლობის უშესანიშნავესი წარმომადგენელი ვაჟა-ფშაველა თავის სიცოცხლეში არ ღირსებია თხზულებათა სრული კრებულის გამოსვლას. მისი ნაწერებიდან გამოდიოდა ლექსებისა და პოემების კრებულები. პოეტის უდიდესი მემკვიდრეობა გაბნეული იყო პერიოდულ გამოცემებში.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახდა შესაძლებელი ვაჟას თხზულებების სრულად გამოცემა. ეს საქმე ითავა სახელგამმა. ალ. აბაშელის რედაქციით, დღემდე სახელგამმა გამოსცა 1, 3, 4 და 5 ტომი. ახლახან გამოვიდა ვაჟას მოთხრობების მეექვსე ტომი. მოკლე ხანში განზრახულია გამოიცეს ვაჟას თხზულებათა მე-2 და მე-7 ტომი. ამით დასრულდება ვაჟას მემკვიდრეობის გამოცემა. მეექვსე ტომში მოთავსებული მოთხრობები უმთავრესად დაიბეჭდა გაზეთებში „ივერიასა“ და „ცნობის ფურცელში“ და ჟურნალებში „ჯეჯილში“ და „ნაკადულში“. დაიბეჭდა 1896—1914 წლებში.

„ბარათაშვილი“

სახელგამმა გამოსცა ორდენოსანი დრამატურგის შალვა დადიანის პიესა „ბარათაშვილი“. პიესაში აღწერილია პოეტის ყოფა-ცხოვრება. პიესა უმთავრესად ბიოგრაფიულ მასალაზეა აგებული. დრამატურგს საკმაოდ შეუსწავლია ის გარემოცვა, რომელშიაც მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა გენიალურ ქართველ პოეტს.

წიგნი შეიცავს 136 გვერდს და ღირს 6 მანეთი.

საზღვარგარეთ

„ვეფხის-ტყაოსნის“ ამერიკული გამოცემა

ამერიკის გამომცემლობამ „ინტერნეშელ პუბლიშერს“-მა გამოსცა ინგლისურ ენაზე რუსთაველის პოემა „ვეფხის-ტყაოსანი“. გაზეთი „დეილი იორკერი“ (ნიუ-იორკი) სწერს: „თუმცა 12 საუკუნის უდიდესი ქართველი პოეტის პოემა დაწერილია ფეოდალიზმის ეპოქაში, მაგრამ იგი მაინც განირჩევა მოწინავე მსოფლმხედველობით და არის ნაყოფი როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის კულტურისა. რუსთაველის პოემა მეტად პოპულარულია საბჭოთა კავშირში, სადაც ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩატარებულ იქნა 750 წლის იუბილე“.

„ჰამლეტი“ აკრძალეს იაპონიაში

იაპონიის პოლიციამ „ჰამლეტი“ ჩასთვალა საეჭვო პიესად და მისი სცენაზე წარმოდგენა აკრძალა. აკრძალვა დასაბუთებულია იმით, რომ „ჰამლეტის“ წარმოდგენას „შეუძლია გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ ზნეობაზე, რადგან შექსპირის ტრაგედიაში სამეფო ხელისუფლება გამოყვანილია არასასურველი სახით, ამასთან თვით „ჰამლეტი“ საშიშ აზრებს გამოსთქვამს“.

ბიბლიოთეკა მომავალში

როგორც ცნობილია, გამოფენა, რომელიც მიმდინარე წელს გაიხსნება ნიუ-იორკში, მიზნად ისახავს— უჩვენოს „მსოფლიო ხვალე“, განსჰვრიტოს კულტურისა და ტექნიკის ახლო მომავალი.

როგორი იქნება კერძოდ ბიბლიოთეკა მომავალში?

ამერიკის ბიბლიოთეკის ასოციაციის მდივანმა კ. მილამმა სცადა ეპასუხნა ამ კითხვაზე.

ხვალინდელი დღის ბიბლიოთეკას,—სწერს იგი,—არ ექნება ჩვეულებრივი ბიბლიოთეკის სახე. მის თაროებზე, ქაღალდზე დაბეჭდილი ჩვეულებრივი წიგნების გვერდით, შეხვდებით გრამაფონის ფირფიტებს, რომლებზედაც ჩაწერილი იქნება მთელი წიგნები. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ფირფიტებზე უკვე ჩაწერილია დაახლოებით 300 წიგნი. „მოლაპარაკე წიგნები“ განსაკუთრებით ხელმისაწვდომია უსინათლოებისა და იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც სუსტი მხედველობა აქვთ.

ბიბლიოთეკაში დაცული იქნება აგრეთვე ისეთი ფირფიტები, რომლებზედაც აღბეჭდილი იქნება გამოჩენილ მოღვაწეთა გამოსვლები, მოხსენებები, ლექციები, საუბრები და სხვა.

თანამედროვე ბიბლიოთეკებისათვის ყველაზე ძნელ საქმეს წარმოადგენს გაზეთების მძიმე და მოზრდილი კომპლექტების შენახვა. ამ საქმეში ბიბლიოთეკრებს დახმარებას გაუწევს მიკროფოტოგრაფია, რომელსაც შეუძლია შუშაზე ან ფირზე მინიატურულად გადაიღოს გაზეთის ან წიგნის გვერდები. როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ყოველი წიგნის მიკროფოტოგრაფიის მიღება შეიძლება არა უგვიანეს ორი დღე-ღამისა.

მომავალი ბიბლიოთეკა წიგნთან ერთად გასცემს აგრეთვე კინოფილმებსაც.

ბიბლიოგრაფია

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი: „მეგალითური კულტურა საქართველოში“, „ფედერაცია“, 1938 წ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან, მეცნიერების სხვა მრავალ დარგთან ერთად, ქართული ხელოვნების ისტორიის დამუშავებასაც მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა. მიუხედავად ამისა, ლიტერატურა ქართული ხელოვნების შესახებ ჯერ-ჯერობით მაინც ღარიბია. თუ ქართული ხელოვნების ისტორიის ქრისტიანული ხანის შესახებ უკანასკნელ წლებში რამდენიმე უაღრესად მნიშვნელოვანი შრომა გამოქვეყნდა, სამაგიეროდ საქართველოს არქაიკული მონუმენტალური ხელოვნება თითქმის მთლიანად შეუსწავლელია. ქართული მეგალითური კულტურის კარგი ცოდნა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მთელი შემდეგდროინდელი ხელოვნების სწორი გაგებისათვის.

ამ ხარვეზს ავსებს სარეცენზიო წიგნი. საქართველოში მეგალითური ძეგლებით დაინტერესებასა და მათ შესწავლას სულ სამოციოდე წლის ისტორია თუ აქვს. მაგრამ 1923-24 წლებამდე სერიოზული ექსპედიცია იმ ძეგლების შესასწავლად მაინც არ მოწყობილა.

სარეცენზიო წიგნი ხანგრძლივი მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგია. პროფ. მელიქსეთ-ბეგს სპეციალურად შეუსწავლია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული თითქმის ყველა საყურადღებო მეგალითური ძეგლი. წიგნში დამუშავებულია უმდიდრესი მასალა, რომელიც ნათელსა ჰფენს პრეისტორიული ქართული ხელოვნების ბნელით მოცულ პერიოდს.

შრომა სამ ნაწილად არის გაყოფილი. პირველ ნაწილში განხილულია ზოგადი საკითხები: მეგალითების შესატყვისი ქართული ტერმინები, როგორიცაა: გმირთნაკვეთი, დიდროვანი ლოდები, ქაჯთა ციხე, ქაჯთა ქალაქი, დევის ნასახლარი და სხვა, მათი წარმოშობის წყაროები, მეგალითების შესწავლის ისტორია და მათი კლასიფიკაცია.

მეორე ნაწილში მოცემულია ე. წ. საცხოვრებელ, საფორტიფიკაციო ციკლოპური ნაგებობების (დიდრონი ლოდების უკიროდ, მშრალად დალაგება), ბლინდაჟებისა და დოლმენების მეცნიერული ანალიზი. ჩამოთვლილი სახის ძეგლებში უდიდეს ინტერესს იწვევს „გოხნარი“ — ალგეთის ხეობაში, „ლოდოვანი“ — ბედენის მთაზე, ჩხიკვთის სამებასთან მდებარე ციკლოპური ნაციხარი, სამშვილდე და სხვ.

წიგნის მესამე ნაწილი შეიცავს მეორე კატეგორიის ძეგლებს ანუ ე. წ. „ზე[illegible]“, საკულტო ობიექტებს (მენჰირები — ალმართული ქვები, ვიშაპები — თევზის ფორმის ალმართული ქვები). ავტორი ძეგლების განხილვისას უხვად ატარებს პარალელებს როგორც უცხო, ისე მეზობელი ქვეყნების, კერძოდ, სომხეთისა და აზერბაიჯანის მეგალითებთან, რაც ქართული მეგალითების საკითხს ნათელს ხდის. უნდა აღინიშნოს მხოლოდ, რომ ავტორი მეტად გაუტაცნია პარალელების გატარებას და ამიტომაა, რომ წიგნში ზოგჯერ უცხო მეგალითების აღწერა არ არის დაკავშირებული ძირითადი საკითხის გაშუქებასთან.

საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, მესხეთ-ჯავახეთში საკმაოდ დიდი რაოდენობით იქნა აღმოჩენილი მეგალითები. იქ გვხვდება თითქმის ყველა სახისა და ტიპის მეგალითური ძეგლი. საქართველოში ნაპოვნია ტეტრალითიც (ოთხი ქვა ერთი ძეგლის სახით), რომლის არსებობა არც ერთ სხვა ქვეყანაში არ არის ჯერ დადასტურებული. საქართველოს ტერიტორიაზე ასე მრავლად მეგალითების აღმოჩენა ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს, რომ ქართველ ტომებს შორეულ წარსულშიც საკმაოდ ინტენსიური კულტურა შეუქმნიათ.

შრომაში კარგად არის ნაჩვენები ქართული მეგალითური ძეგლების ტრანსფორმაცია გვიანი დროის ძეგლებში. მკითხველისათვის ნათელი ხდება ის უდიდესი ევოლუცია, რომელიც განძის ვეშაპიდან ბარალეთის „ამაღლების სვეტამდე“ მომხდარა. ამ უკანასკნელს უკვე აქვს საშუალითო ორნამენტიანი ბაზისი და ჯვრიანი ტანი. იგი თამამად შეიძლება გვერდში ამოვუყენოთ ქრისტიანული ხანის იმ ძეგლებს, რომელთაც გარკვეული ესთეტიური ღირებულება აქვთ.

მრავალმხრივი და სერიოზული განხილვის მიუხედავად, ავტორს ძეგლები ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისით არა აქვს შესწავლილი, რაც უდაოდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს. საჭირო იყო მეგალითების განხილვა ესთეტიური ღირებულების მხრივაც, რადგან ზოგიერთი ძეგლი, ცხადია, მოგვიანო ხანისა, საამისოდ შესწავლის მეტად საინტერესო მასალას იძლევა. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ იგივე ბარალეთის „ამაღლების სვეტი“.

საერთოდ, აღნიშნული შრომა მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს და დიდ ინტერესს იწვევს როგორც საგნის სპეციალისტთა, ისე ფართო მკითხველთა წრეშიც.

ოთ. ფირალიშვილი.

„საბჭოთა ხელოვნება“ № 1

გამოვიდა ჟურნალი—„საბჭოთა ხელოვნების“ № 1. ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალა: მოწინავე წერილი „პროლეტარული რევოლუციის გენია“, ი. სტალინი — „ლენინის გარდაცვალების გამო“ (სიტყვა საბჭოების მე-2 სრულიად-საკავშირო ყრილობაზე 1924 წლის 26 იანვარს), ნ. კრუპსკაია, კ. ცეტკინი, მ. გორკი — მოგონებები ლენინზე, ვლ. მგალობლიშვილი — „კოლმეურნის ქორწინება“ მარჯანიშვილის თეატრში, ჰეგელი — „ლექციები ესთეტიკის შესახებ“, ბენვენუტო ჩელინი — ნაწყვეტი vita-დან, ალ. ფევრალსკი — „თანამედროვე დრამატურგია და თეატრი ესპანეთში“, ს. გერსამია — „მირზა ფატალი ახუნდოვი“, თ. ლორთქიფანიძე — „აყვავებული კოლხიდის თეატრი“ და ინფორმაციები.

მისასალმებელია ჟურნალში ჰეგელის „ლექციები ესთეტიკაზე“ დაბეჭდვა. რედაქციამ უნდა განაგრძოს ამ ლექციების ბეჭდვა. იგი დიდად დაეხმარება ხელოვნების მუშაკებს ესთეტიკის პრობლემების გაგებისა და შესწავლის საქმეში.

„ზარია ვოსტოკას“ გამომცემლობაში

„ზარია ვოსტოკას“ გამომცემლობამ დაამზადა და ამ მოკლე ხანში გამოსცემს რუსულ ენაზე თარგმნილ ნიკო ლომოურის მოთხრობათა კრებულს, გრიგოლ ორბელიანის ლექსებს და სამხრეთ-ოსეთის პოეტების რჩეულ ნაწარმოებთა კრებულს.

ლადო მაჭავარიანი

3 მარტს გარდაიცვალა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრი, პოეტი ლადო მაჭავარიანი. განსვენებული დაიბადა 1893 წ. სოფ. ილემში (ზესტაფონის რაიონი). სამწერლო მუშაობა დაიწყო 25 წლის წინად. გამოცემული აქვს ლექსების და პოემების წიგნები „სარკოფაგები“ და „მტკვარი—ჯავშნოსანი“.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი აუწყებს საზოგადოებას,
რომ ა. წ. 3 მარტს გარდაიცვალა კავშირის წევრი, პოეტი
ლადო ილიას-ძე მაჭავარიანი

დიდი მოურავი

გ. ნატროშვილი

ისტორიულ რომანს ქართულ ლიტერატურაში დიდი ტრადიცია არა აქვს, მიუხედავად იმისა, რომ მწერლობის ამ დარგს ჩვენში საუცხოო მასალა მოეპოვება, — ეს არის ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორია.

ძველი საქართველოს მუდმივი და განუწყვეტელი ბრძოლა ირანთან და თურქეთთან, ქართველი ვაჟებისა და ქალების ტყვეობა და წამება ისპაჰანსა და სტამბოლში, ქართველი რაინდების, სარდლებისა და უბრალო მეომრების — მთელი ხალხის თავგანწირული ომები სამშობლოს დასაცავად ჯერ კიდევ შეუსწავლელია და ეს სახეები ჩვენს მწერლობაში არა სჩანან. აუსტერლიცისა და ვატერლოოს შესახებ უცხოეთის ლიტერატურაში მთელი ტომებია დაწერილი, ხოლო იმ ტრაგედიას, რომელიც გათამაშებულ იქნა კრწანისსა და სოღანლუღთან, ჯერ მხატვრის კალამი არ შეხებია. ამ მხრივ ჩვენი საბჭოთა მწერლობის წინაშე სდგას ამოცანა—გააცოცხლოს მხატვრულ სახეებში ეს წარსული. როგორც რუსულ ლიტერატურაში ალექსანდრე ნეველის, მინინისა და პოჟარსკის, ივანე სუსანინის თემატიკამ უკვე მოიპოვა მოქალაქობრივი უფლება, როგორც უკრაინის ლიტერატურაში კვლავ ჩნდებიან ხმელნიცკი და ბოგუნი, ასევე ჩვენშიც გამოხატულ უნდა იქნან ის ადამიანები, რომელთა სახელებიც შეინახა და დიდებით შემოსა ისტორიამ და ხალხის ხსოვნამ. ცხადია, ისტორიული რომანი არ წარმოადგენს დღევანდელი მწერლობის წამყვან ჟანრს, მაგრამ მას მაინც აქვს მიკუთვნებული დიდი როლი საბჭოთა ლიტერატურაში.

ისტორიულმა რომანმა უნდა გამოჰკვეთოს სახალხო გმირის სახე, რომელიც ჩვეულებრივ წამოიზრდებოდა ხოლმე როგორც ნაციონალურ უბედურებათა სიტუაციაში, ისე იმ დროს, როცა ხალხი თავს გაინთავისუფლებდა უცხო დამპყრობელთაგან და იწყებდა დამოუკიდებელ ცხოვრებას, წამოიზრდებოდა როგორც მებრძოლი თავისი ხალხის სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ.

მეთექვსმეტე საუკუნის დასასრულსა და მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს ისტორიის ასპარეზზე გამოჩნდა გიორგი სააკაძე. განსაკუთრებით მწვავე და შავბედითი იყო ეს ეპოქა. იმ დროს საქართველო არ წარმოადგენდა ერთ მთლიან ეროვნულ ორგანიზმს. ქვეყანა დაფლეთილი იყო ცალკე სამეფოებად და სამთავროებად, რომელთა შორის დაუსრულებელი ომი და შფოთი იყო ატეხილი. ირანში მეფობდა შაჰაბაზ პირველი, თურქეთის სულთანი მოიწევდა საქართველოსაკენ, ლეკები აოხრებდნენ კახეთს. გარეშე მტერთა თარეშმა დაასუსტა ჩვენი ქვეყანა, ხელი შეუწყო ცალკეული თავადების თვითნებობისა და ძალმომრეობის გახშირებას. ასეთ პირობებში დაიწყო ბრძოლა გიორგი სააკაძემ საქართველოს გაერთიანებისათვის და, ცხადია, ქართლის ფეოდალების რისხვა და წყრომა გამოიწვია.

უკანასკნელ ხანებში გაიზარდა ინტერესი სააკაძის პიროვნებისადმი. ამ ინტერესის ერთ-ერთი მაჩვენებელია რუსი მწერალი ქალის ა. ანტონოვსკაიას ვრცელი რომანი „დიდი მოურავი“. უნდა ითქვას, რომ რომანის ავტორმა საერთოდ დასძლია მის წინაშე დასახული რთული ამოცანა—მოგვცა სააკაძის ცხოვრებისა და მისი ეპოქის სურათი. მით უმეტეს, რომ ბევრ შემთხვევაში მას ყამირ ნიადაგზე უხდებოდა მუშაობა; აღნიშნული ეპოქა ჯერ კიდევ სუსტად არის შესწავლილი. ავტორმა დაგვიხატა ეპოქის სულისკვეთება, რომანში ვხედავთ მეჩვიდმეტე საუკუნის გლეხებს, თავადებს, აზნაურებს. ანტონოვსკაიას რომანში დაძლეულია და უარყოფილია ძველი ისტორიული რომანის ტრადიცია, როცა სამოქმედო ასპარეზზე მხოლოდ ერის ზედაფენა გამოჰყავდათ ხოლმე. რომანში სჩანს ხალხი და ასეც უნდა იყოს, რადგან თვითონ ხალხია ისტორიის შემომქმედი. ანტონოვსკაიას რომანი მონუმენტურ ნაწარმოებადაა ნავარაუდევი. რომანის ღირსებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ მასში მეტად ნათლად და დამაჯერებლად არის დახატული ქართული ფეოდალური არისტოკრატია. აქ ავტორი მართლაც დაეუფლა ისტორიული რომანის ოსტატის ძნელ და რთულ ხელოვნებას. ჩვენს წინ ცოცხლად სდგებიან კოლორიტულად დახატული ფიგურები შადიმან ბარათაშვილისა, ამირინდო ამილახვრისა და სხვებისა. მთავარი, რაც მკითხველს უცებ თვალში ეცემა, ეს არის მათი სრული გულგრილობა სამშობლოს ბედისადმი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია რომანში თრიალეთის ომის ეპიზოდი: თავადებს როდი ახარებთ ქართლის მეფის გიორგის გამარჯვება თურქებზე. პირიქით, მათ თავზარი დაეცემათ და იქვე, სამხედრო ბანაკშივე, მეფის მოკვლის გეგმებს აწყობენ. არც ერთი მათგანი ერთი წუთითაც არ ფიქრობს საქართველოს ბედზე. ეს შავი ღალატი ქართლის თავადებისა, ეს იეზუიტური პოლიტიკა შადიმან ბარათაშვილისა, ხალხის დამღუპველი პოლიტიკა, დამახასიათებელი და მკაფიო სურათებით ასახა მწერალმა ქალმა. ავტორს მშვენივრად დაუხატავს იმდროინდელი ქართველი ქალები, თითოეული მათგანი — იქნება ის რუსუდანი, ნუგზარ ერისთავის ქალიშვილი და სააკაძის ცოლი, თუ ქართლის დედოფალი თამარი, ნესტან ორბელიანი და სხვები, თავისთავად დასრულებული სახეები არიან, აღსავსენი ქალური პატივმოყვარეობით და ცოცხალი ადამიანური ვნებებით. კარგია რომანში ბატალური სცენები. ომები აქ აღწერილია დამძაფრებით და პლასტიურობით. კარგია, რომ ამ ომების აღწერისას ავტორი გვიჩვენებს, როგორ გაიღვიძებდა ხოლმე ქართველი ხალხის მთლემარე სოციალური ენერგია და აღსდგებოდა ხოლმე დამპყრობელთა წინააღმდეგ. რეალისტური სიცხოველითაა ნაჩვენები რომანში ეს სულიერი ძალა ხალხისა ეპოქის მატერიალური კულტურის და ყოფითი აქსესუარების მხატვრული აღდგენის ფონზე.

როგორ არის რომანში დახატული მთავარი გმირი, გიორგი სააკაძე? ავტორს უცდია დაეხატა მისი რაინდული სულისკვეთება. კარგადაა რომანში მოცემული მისი გარეგნული პორტრეტი, მისი ახოვანება და შემმართებლობა, მისი გასაოცარი სამხედრო - სტრატეგიული ნიჭი და სიძნელეთა გადალახვის უნარი. რომანში ასახულია „ვეფხვთა რაზმის“ თავდადებული ბრძოლა სამშობლოს დასაცავად, ურთიერთ შორის მოქიშპე და ქვეყნის მოღალატე თავადების ასალაგმავად. ეს „ვეფხვთა რაზმი“, რომელიც სააკაძის მეგობრებისაგან შესდგება, თანდათან აფართოვებს თავის გავლენის სფეროს. ის კი უნდა აღინიშნოს, რომ რომანის პირველ თავებში, სადაც სააკაძისა და მეგობრების ახალგაზრდობის წლებია ნაჩვენები, იგრძნობა სიყალბე და ერთგვარი რომანტიული სტილიზაცია. აქ ადგილი აქვს სტილთა აღრევას. რეალიზმს არა იშვიათად სცვლის „რომანტიული“ პათეტიურობა. რომანის დასაწყისშივე ნოსტეს ბაზარზე ჩნდება გიორგი სააკაძე. ამ დროს გიორგი უცნობი და ჯერ სახელმოუხვეჭელი თვრამეტი წლის ბიჭია... და ამ ხანშივე ყველანი — ნაცნობები, მეგობრები — ისე ექცევიან, თითქოს წინდაწინ ხედავდნენ მის დიდ მომავალს. თვით გიორგიც, რომანის მიხედვით, რაღაც წინასწარმეტყველური ღაღადით იწყებს ცხოვრებას: ჰპირდება მთებსა და ღელეებს, რომ თავის სამშობლოს გაანთავისუფლებს. ამ რომანტიულ სტილიზაციას, რომელიც ლერმონტოვის კაზბიჩსა და მარლინსკის გმირებს ამსგავსებს გიორგი სააკაძეს, უფრო მეტად აძლიერებს ჩერქეზი ქალის ბაბო ზარას ეპიზოდი. ჩერქეზის ქალი უამბობდა გიორგის ლეგენდებს უმთო ქვეყნებზე, სადაც თეთრ ჭრამალებზე მიჰქრიან სამთავიანი ცხენების ჯოგები, უძლეველი მხედრები ამოდიან მწვანე წყლებიდან მოელვარე მუზარადებით და ვერცხლის აბჯრებით... ამ ლეგენდებზე იზრდება და მათზე ოცნებობს გიორგი. ყველაფერი ეს ბუტაფორიულობის შთაბეჭდილებას სტოვებს. არა ჩანს, რომ გიორგი იზრდებოდა ქართლის სოფელში და არა დროსა და სივრცის გარეშე.

ასევე აკლია დამაჯერებლობა სახალხო მომღერლის ბადრის სახეს. მის თქმულებებსა და სიმღერებში მკითხველი ვერ იცნობს ქართულ ფოლკლორს. ბადრის პროტოტიპად, როგორც სჩანს, ავტორს თევდორე მღვდელი აუღია, რომელმაც, გადმოცემის მიხედვით, გზაკვალი აურია თურქების ჯარს და ქართლის ჯარს შესაძლებლობა მისცა მომზადებულიყო მტრის დასახვედრად.

ავტორი ცდილობს დახატოს სააკაძისა და მისი რაზმის სიახლოვე ხალხთან. ამ რაზმზე და საერთოდ აზნაურობაზე დაყრდნობით სააკაძე აპირებს ბოლო მოუღოს ფეოდალთა თარეშს, მაგრამ მისი ვერაგი და მზაკვარი მტრები — ქართლის თავადები — ინტრიგების, კინკლაობის ჯადოსნურ ქსელს აბამენ მის გარშემო. ცხარე პოლიტიკურ ბრძოლას, რომელიც მეტეხის სასახლის კულისებში სწარმოებს, გაფაციცებით ადევნებენ თვალს ირანისა და თურქეთის მფლობელები. ეს დიპლომატიური თამაში ხან სტამბოლთან და ხან ისპაჰანთან, რაშიაც ზოგიერთი შეცდომა გიორგი სააკაძესაც მოუვიდა, რომანის ავტორს არსებითად სწორად აქვს ასახული.

და თუ ამ ტიპის — გიორგი სააკაძის — დახატვის დროს ავტორს ალაგ-ალაგ უმტყუნა ისტორიული სიმართლის ალღომ და მხატვრულმა გამჭრიახობამ, ეს არ უნდა გვიკვირდეს, რადგან მწერალმა ქალმა თავსატეხ პრობლემასა და ურთულეს შემოქმედებითი ამოცანის გადაწყვეტას მოჰკიდა ხელი. ავტორმა სცადა დაეხატა გიორგი სააკაძე იდეალურ და დადებით ტიპად. მაგრამ თუ ცალკე ეპიზოდებს ავიღებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი ყოველთვის ვერ ახერხებს აღებული თვალსაზრისის დაცვას. ზოგ ეპიზოდში, მიუხედავად იმისა, რომ ეს რომანის ძირითადი ხაზი არ არის, გამუქებული და გაზვიადებულია სააკაძის სუსტი მხარეები და შეცდომები. აიღეთ უბრალო ფაქტი: შადიმან ბარათაშვილი და სხვა თავადები ქართლის საზღვარზე, ალჩაყალაში, ციხე-სიმაგრეს აგებენ, რომ ირანს ქართლში შემოსაჭრელი გზა ჩაუკეტონ. გიორგი სააკაძე მაშინვე ატყობინებს ამას შაჰაბაზს, და ქართლის საზღვრის გამაგრების საქმეს ჩაშლის. ნუთუ რომანის ავტორი ფიქრობს, რომ ეს ფაქტი თავისთავად წაუშლელ სამარცხვინო დაღს არ დაასვამდა სააკაძის სახელს? რომანის ცალკე ეპიზოდების მიხედვით, რასაც კი ყურს მოჰკრავს გიორგი მეტეხის სასახლეში, იმავე წუთს საიდუმლო მოხსენებას უგზავნის შაჰაბაზს და, როგორც უმორჩილესი მონა, ფეხქვეშ ეგება „ირანის ლომს“. და გრძნობს რა ავტორი ამ გადაჭარბებას, თავისი რომანის ერთერთ გმირს ათქმევინებს გიორგის მისამართით: „ეშმაკთან ოთურმასა სთამაშობსო“. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს ზოგი რამ დაუმატებია ისტორიისათვის, რის გამოც მისი რომანის ცალკე თავებში სააკაძის გაორების შთაბეჭდილება იქმნება.

სამაგიეროდ ავტორმა გადააჭარბა სააკაძის რევოლუციონერობის შეფასებაში. კითხულობთ რომანს და განცვიფრებთ ის დემოკრატიული პათოსი, რომლითაც ავტორმა სააკაძე აღჭურვა. არც ეს არის სწორი. სინამდვილეში სააკაძეს არსენა ოძელაშვილობა არც კი უფიქრნია, მისი ოცნება მთლიანი, ძლიერი საქართველო იყო, ცენტრალიზებული სახელმწიფო, სადაც ველარც ფეოდალები და ვერც გარეშე მტრები ველარ ითარეშებდნენ თავისუფლად და დაუსჯელად.

როგორ იცავს ავტორი ნაციონალურ კოლორიტს? უნდა ითქვას, რომ რომანში ამ მხრივ უნებლიე შეცდომებთან გვაქვს საქმე. ნაწარმოები გადატვირთულია ქართული სიტყვებით. ნუთუ არ შეიძლებოდა რუსულად გადაეთარგმნა ავტორს სიტყვები: ქუდი, გლეხი, მაიმუნი, ქალაქი, მასხარა, ხეობა და სხვ. ამ სიტყვების რომანში უთარგმნელად დატოვება ნაციონალური კოლორიტის დაცვის მიზნით სრულიად არ არის მიზანშეწონილი. გარდა ამისა, ანტონოვსკაია, აწებებს რა ქართულ სიტყვებზე რუსულ სუფიქსებს, ჰქმნის ახალ ტერმინებს. ასეთია, მაგალითად, „აზნაურკა“, „მსახურკა“, „ლავაშნიკი“ და სხვ. ავტორმა ალაგ-ალაგ ვერ დაიცვა ნაციონალური კოლორიტი იმიტომაც, რომ იგი, მოექცა რა დასავლეთის კლასიკოსების ა. დიუმასა და ვალტერ სკოტის ისტორიული რომანების ზეგავლენის ქვეშ, ბევრი რამ ისეთი მიაწერა ქართულ სინამდვილეს, რასაც ისტორიულად ადგილი არა ჰქონდა. ასე, მაგალითად, ტურნირები, ცხადია, იცოდნენ ძველ საქართველოში, მაგრამ რაინდული ტურნირი იმ სახით, როგორც ეს ანტონოვსკაიას რომანშია აღწერილი, გვაგონებს არა საქართველოს ისტორიას, არამედ ანგლო-საქსებისა და ნორმანების რაინდულ ტრადიციებს, რაც ასე დიდებულად აღწერა ვალტერ სკოტმა. არც ისაა სწორი, რომ რომანის ავტორმა მეჩვიდმეტე საუკუნის ქართლში გადაიტანა „პოტიომკინის სოფელი“ და მთელი ქართლი ჭრელი საღებავებით შეაღებინა შადიმან ბარათაშვილს. ამგვარ კურიოზს საქართველოს ისტორიაში ადგილი არა ჰქონია და აქ ავტორი უბრალოდ იმეორებს იმ ეპიზოდს, რომელიც გაითამაშა თვალთმაქცმა და მოხერხებულმა პოტიომკინმა ეკატერინე მეორის წინაშე.

რომანის ავტორმა ურთულესი წინააღმდეგობის გზა აირჩია და თემის სიძნელეს არ მოერიდა. მან აიღო მე-17 საუკუნის შფოთიანი და აწეწილ-დაწეწილი ცხოვრება, გადააქცია იგი თავისი რომანის მონუმენტურ სიუჟეტად, შეიყვანა მასში ურიცხვი ადამიანი ყველა სოციალური კლასიდან და საქართველოს ყველა მეზობელი ხალხიდან. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ რომანის უფრო მტკიცედ შეკვრა სავსებით შესაძლებელი იყო. ამბავი გაჭიანურებულია, რაც რომანის დრამატიზმსა და დინამიკურობას ანელებს. რომანში ზედმეტია ბევრი შემავალი და ჩართული ეპიზოდი და პიროვნება. ისინი ანელებენ მოქმედების გაშლას, რადგან ისინი შემდეგში კომპოზიციურ განგრძობას არ ღებულობენ. რომანში ზედმეტია კიასოსა და მირანდა გოგორიშვილის სიყვარულის ტრაგედია. ეს არის რომანში ჩართული მოთხრობა. გაჭიანურებულია ტატიშჩევის ელჩობა, ისპაჰანის აღწერა და სხვა მრავალი ეპიზოდი, რომელთა ამოღება რომანიდან უზიანოდ შეიძლება.

ავტორს, ალბათ, უფიქრნია, რომ ისტორია მით უფრო ნათელი და სრული იქნება, რაც უფრო მეტ ფაქტებსა და ეპიზოდებს დაახვავებს. მაგრამ საქმე საგნებისა და მოვლენების უზარმაზარი კომპლექტების შედგენა როდია. მთავარია რომანში არსებითისა და დამახასიათებელის გამოყოფა. ეს უნდა გაითვალისწინოს ავტორმა რომანის ახალი გამოცემის დროს.

ქართველი მკითხველისათვის ეს რომანი საინტერესო წიგნია. ამიტომ სასურველია, თუ წიგნი ქართულადაც გამოვა.

პასუხისმგებელი რედაქტორი შალვა რადიანი.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, მაჩაბლის ქუჩა № 13 (მწერალთა სახახლე) ტელეფონი 8—47—10.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 704